13	საბა გიორგაძე Saba Giorgadze	2010-10-25
14	სანდრო გურასპაული Sandro Guraspauli	2010-03-15
	ამროსი ორმოცაძე Amrosi Ormotsadze	მთავარი მწვრთნელი Head Coach

ქუთაისი
KUTAISI

სატურნირო ცხრილი

STANDINGS

ჯგუფი A / Group A

	გუნდი / Team	თ P	მ W	წ L	ქ PTS	ბურთები PTS/OPTS
1	აუდენტესი Audentese	10	10	0	20	599/336
2	მაჟეიკიაი Mazeikiai	10	10	0	20	633/412
3	პლუნგე Plungė	10	7	3	17	461/451
4	ქუთაისი Kutaisi	10	7	3	17	574/457
5	იელგავა Jelgava	10	7	3	17	550/504
6	ბაუსკა Bauska	10	6	4	16	535/482
7	კეილა Keila	10	6	4	16	554/373
8	ჟორი ŽAK Žory	10	6	4	16	412/359
9	სალასპილსი Salaspils	10	4	6	14	395/404
10	MBC	10	3	7	13	439/430
11	ტალსი Talsi	10	3	7	13	394/499
12	ტტუ TTU	10	1	9	11	250/532
13	YMCA	10	0	10	10	288/619
14	მარუპესი Marupes	5	3	2	8	251/216
15	VKM	5	1	4	6	235/246
16	ტამპერე Tampere	0	0	0	0	0/0

შემადგენლობა

ROSTER

1	ჯემალი კუპრაშვილი Jemali Kuprashvili	08.03.2007
2	ცოტნე ჭარხალაშვილი Tsotne Tcharkhalashvili	05.09.2007
3	დემეტრე მერკვალაძე Demetre Merkvaladze	22.08.2007
4	იოსებ ტუღუში Ioseb Tugushi	08.09.2007
5	გერა ჭეიშვილი Gera Tcheishvili	24.01.2007
6	დაჩი ჯოხაძე Dachi Jokhadze	14.11.2007
7	ლუკა მორჩაძე Luka Morchadze	06.08.2007
8	ჯიმი ჩახუნაშვილი jimi Chakhunashvili	01.02.2007
9	თორნიკე ჭოხონელიძე Tornike Chokhonelidze	09.01.2007
10	ნიკოლოზ მაჩიტიძე Nikoloz Machitidze	11.06.2007
11	სანდრო კვერნაძე Sandro Kvernadze	19.04.2007
12	სანდრო გაბუნია Sandro Gabunia	03.02.2007
13	გიორგი ნიკოლაევი Giorgi Nikolaev	19.01.2007
14	ავთანდილ ბახტაძე Avtandil Bakhtadze	19.09.2007
15	ნიკოლოზ კუბლაშვილი Nikoloz Kublashvili	18.04.2007
	ირინა მელქაძე Irina Melkadze	მთავარი მწვრთნელი Head Coach
	ია გოგლიჩიძე Ia Goglichidze	მწვრთნელი Coach

საქართველოს
რკინიგზა
1872-დან



საქართველოს რკინიგზა
საქართველოს კალათბურთის ეროვნული ნაკრების, ასაკობრივი ნაკრები გუნდების და სუპერლიგის მხარდამჭერი





საქართველოს ჩემპიონატები

სუპერლიგა

ქალთა ლიგა

საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია

2019-2020 წლების სეზონი როგორც საქართველოსთვის, ისე მსოფლიოსთვის უარყოფითად განსხვავებული იყო. ახალი კორონავირუსის პანდემიის გამო არათუ კალათბურთში, სპორტის ნებისმიერ სახეობაში ტურნირები შეჩერდა და ქვეყნების აბსოლუტურმა უმრავლესობამ საკალათბურთო სეზონები ისე გააუქმა, ჩემპიონი არ გამოუვლენია.

მათ რიცხვში იყო საქართველოც, სადაც სუპერლიგის რეგულარული ჩემპიონატის დასრულებას 5 ტური აკლდა, ხოლო ერთი საფეხურით დაბლა მყოფ "ა" ლიგაში პირველი წრე იყო დასრულებული. რაც შეეხება კიდევ ერთ ზრდასრულთა ჩემპიონატს - ქალთა ლიგას, რომელიც ტრადიციულად სტარტს გაზაფხულზე იღებს ხოლმე, არც დაწყებულა.

საქართველოს 29-ე ეროვნული ჩემპიონატი საინტერესოდ მიმდინარეობდა და იმ შედეგებიდან გამომდინარე, რაც მანამდე იყო დაფიქსირებული, დაძაბული ფინიში გველოდა. სუპერლიგას არ ჰყავდა გამოკვეთილი ლიდერი და როგორც ჩემპიონობაზე, ისე პრიზიორობაზე ყველა ის გუნდი აცხადებდა პრეტენზიას, რომელსაც თავი პლეი ოფში ჰქონდა დაგულებული.

გუნდების დონის გათანაბრების ტენდენცია გასულ სეზონშიც გაგრძელდა. პირველ და მე-7 ადგილებზე მყოფ გუნდებს შორის სხვაობა მხოლოდ 3 ქულას შეადგენდა. ერთპიროვნული პირველობა "ბათუმს" ჰქონდა, რომელმაც 15 ტურიდან 9 მატჩი მოიგო. ზღვის-პირელთა შემდეგ სამ გუნდს - თსუ-ს, ვერას და ქუთაისს ქულების თანაბარი რაოდენობა ჰქონდათ მოგროვებული. სამივე მათგანმა 8 მოგების წილ 6 მარცხი

დააგროვა. შემდეგ მოდიოდა ოლიმპი, დინამო და კაკტუსი.

ნახსენებ გუნდებს შემდეგ, საპლეიოფო ზონას ხურავდა მე-8 ადგილზე მყოფი "რუსთავი". ქვემოქართლელებს პლეი ოფში მოსახვედრად კონკურენტებად მგზავრები და ტიტები ჰყავდათ, ხოლო ბოლო ადგილზე მყოფი მოქმედი ჩემპიონი, რომელმაც წინა სეზონის შემდეგ სახელი "დელტა" "ცხუმ-აფხაზეთით" შეიცვალა, სუპერლიგაში დასარჩენად იბრძოდა.

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით მიიღო გადაწყვეტილება და 2 მარტიდან შეაჩერა ყველა ასაკობრივი ჩემპიონატი, ხოლო სუპერლიგა და "ა" ლიგა მიმდინარეობდა მაყურებლების გარეშე.

გულშემატკივრების გარეშე თამაშები 13 მარტამდე გაგრძელდა - ამ დღეს ბათუმში სათამაშოდ ჩასული იყო „ტიტები“, თუმცა შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების გადაწყვეტილებით სპორტული თამაშები მთელი ქვეყნის მასშტაბით შეჩერდა.

ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდეგ, 26 მაისს, კალათბურთის ფედერაციის გამგეობის სხდომამ სუპერლიგისა და ყველა ჩემპიონატის გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო. ამ დრომდე ფედერაცია, ერთის მხრივ, ეპიდემიოლოგიური ვითარების დასტაბილურებას ელოდა, მეორეს მხრივ, იმ მიმართულებით მუშაობდა, რომ ყველა გუნდს სახელმწიფოს დაფინანსება მიეღო. როცა ეს საკითხი დადებითად გადაწყდა, ფედერაციის გამგეობამ 2019-2020 წლების სეზონი გაუქმებულად გამოაცხადა.

მარტის შუა პერიოდისთვის "ა" ლიგის გუნდებს რეგულარული ჩემპიონატის ნახევარზე მეტი ჩატარებული ჰქონდათ. აღნიშნულ ლიგაში ტრადიციულად 6 გუნდი ასპარეზობდა, რომლებიც სუპერლიგის საგზურისთვის იბრძოდნენ. "ა" ლიგის გამარჯვებულს საგზური პირდაპირ ერგებოდა, ხოლო მეორეადგილოსანი სუპერლიგის რეგულარულის ბოლოსწინა გუნდს საკვალიფიკაციო სერიაში დაუპირისპირდებოდა.

6 ტურის შემდეგ პირველ ადგილზე 5 მოგების მქონე "ორბი" გახლდათ, რომელმაც სეზონის პირველი და ერთადერთი წაგება ბოლო ტურში, მეორეადგილოსან "მეგასთან" განიცადა. სწორედ ეს 2 გუნდი იყო გამოკვეთილად ძლიერი, თუმცა სუპერლიგის მსგავსად, "ა" ლიგაშიც ძალთა ისეთი თანაფარდობა იყო, რომელიმე გუნდის წარმატებაზე წინასწარ საუბარი გაუმართლებელი გახლდათ.

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციასთან ერთად სტუდენტური ლიგის მეორე სეზონს ატარებდა. ფედერაციის ძალისხმევით აღნიშნული ლიგა სუპერლიგისა და „ა“ ლიგის ვერტიკალში მოექცა. სტუდენტური ლიგის გამარჯვებული ჩემპიონის ტიტულთან ერთად „ა“ ლიგის საგზურს იღებდა და პირველი გუნდი, რომელმაც ამ შესაძლებლობით ისარგებლა, სპორტის უნივერსიტეტი იყო.

გასულ სეზონში სტუდენტურიდან „ა“ ლიგაში ვერავინ აინაცვლა, რადგან აღნიშნული ტურნირები არ დასრულდა. სტუდენტურ ლიგაში პირველი წრის დასრულებას მცირედი აკლდა, როცა კორონავირუსის



პანდემიის გამო შეჯიბრება შეწყდა. ტურნირს გამოკვეთილი ლიდერები ჰყავდა ტექნიკური უნივერსიტეტისა და ილიაუნის სახით. ამ გუნდების ტიტულისა და „ა“ ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში გრიგოლ თავართქილაძის უნივერსიტეტსაც შეეძლო ჩართვა.







სუპერლიგა

სუ-ლიგა

საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია

The 2019-2020 season was negatively different for both Georgia and the rest of the world. Due to the new Coronavirus pandemic, tournaments in not only basketball, but any sport, have been suspended, and the vast majority of countries have canceled their basketball seasons without revealing a champion.

Georgia was among them, where 5 rounds were left to finish the regular championship of the Super League, while one round was finished in the A league, which is one step down. As for another adult championship - the Women's League, which traditionally starts in the spring, has not even started this year.

The 29th National Championship of Georgia was going on interestingly and based on the results that had been recorded before, a tense finish awaited us. The Super League did not have a clear leader and all the teams that had their heads in the playoffs were claiming both the championship and the prize-winning places.

The tendency of equal teams continued last season. The difference between the teams in the first and 7th places were only 3 points. However, Batumi was a leader with 9 victories after 15 matches. After them, three teams: TSU, Vera and Kutaisi had an equal number of points. All three of them collected 8 victories and 6 losses. Then came Olimpi, Dinamo and Cactus.

After the mentioned teams, Rustavi, which was on the 8th place, was closing the playoff zone. They had Mgzavrebi and Titebi as competitors to get in the playoffs, while the current champion, Delta, which changed its name to Tskhum-Apkhazeti after the previous season, was fighting to stay in the Super League.

CHAMPIONSHIPS OF GEORGIA

The Georgian Basketball Federation was one of the first to take a decision to suspend all age championships from March 2 in order to prevent the spread of the virus. And the Super League and A League were held without spectators.

The games without fans continued until March 13 - On this day, Titebi arrived in Batumi to play, but by the decision of the relevant state structures, sports games were suspended throughout the country.

After the end of the declared state of emergency in the country, on May 26, a meeting of the basketball federation board decided to cancel the Super League and all championships. Until now, the federation on the one hand has been waiting for the stabilization of the epidemiological situation, and on the other hand, has been working in the direction of getting state funding for all the teams. When the issue was resolved positively, the board of the federation declared the 2019-2020 season canceled.

By mid-March, A-League teams had played more than half of the regular season. Traditionally, 6 teams competed in this league, which fought for a ticket to the Super League. The winner of the A league would directly get the ticket, while the second-place winner would hold a qualifying series with a penultimate Super League team.

After 6 rounds, Orbi with 5 victories was in the first place, who suffered the first and the only loss of the season in the last round, against the second-placed Mega. It was these 2 teams that were clearly strong, however, like the Super League, the ratio of forces in the A league was such that it was unjustified to talk about the success of any team in advance.

Georgian Basketball National Federation together with the University Sports Federation held the second season of the Student League. Due to the efforts of the federation, the mentioned league was included in the vertical of the Super League and A League. The winner of the Student League would take the ticket to the A League together with the title of



the champion and the first team to take advantage of this opportunity was the University of Sports.

Last season, no one advanced from the Students League to A League, because the mentioned tournaments are not over. The end of the first round in the Student League lacked a little when the competition was stopped due to the Coronavirus pandemic. The tournament had prominent leaders as Technical University and Iliauni. Grigol Tavartkiladze University could also be involved in the fight of these teams for the title and for the ticket to the A League.



საქართველოს XXIX ჩემპიონატი SUPER LEAGUE

სატურნირო ცხრილი — STANDINGS

	გუნდი / Team	მ W	წ L	ქ PTS
1	ბათუმი Batumi	10	5	25
2	თსუ TSU	9	6	24
3	ვერა Vera	9	6	24
4	ქუთაისი Kutaisi	9	6	24
5	ოლიმპი Olimpi	8	6	22
6	დინამო Dinamo	8	6	22
7	კაკტუსი Cactus	7	8	22
8	რუსთავი Rustavi	6	8	20
9	მგზავრები Mgzavrebi	5	10	20
10	ტიტები Titebi	5	9	19
11	ცხუმ-აფხაზეთი Tskhum-Apkhazeti	4	10	18

A-LEAGUE

სატურნირო ცხრილი — STANDINGS

	გუნდი / Team	მ W	წ L	ქ PTS
1	ორბი Orbi	5	1	11
2	მეგა Mega	4	2	10
3	კავკასია Kavkasia	3	3	9
4	ბურჯი BURJI	3	3	9
5	ზესტაფონი Zestaponi	3	3	9
6	სპორტუნი Sportuni	0	6	6

საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია

UNIVERSITY LEAGUE

სატურნირო ცხრილი — STANDINGS

	გუნდი / Team	მ W	წ L	ქ PTS
1	სტუ GTU	6	0	12
2	გთსუ GTTU	2	4	8
3	ილიაუნი ILIAUNI	3	1	7
4	აწსუ WSU	2	3	7
5	თსსუ TSMU	2	2	6
6	თსუ TSU	1	4	6
7	სეუ SEU	1	3	5

adjarabet.com

ეს არის სპორტი







18 ჩემპიონატები

14 ჩემპიონატები

16 ჩემპიონატები

თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირი

ის ჩემპიონატები, რომლებიც სეზონის განმავლობაში ხანგრძლივად მიმდინარეობს, კორონავირუსის პანდემიის გამო ვერ დასრულდა. ცხადია, ეს შეეხო საქართველოს ასაკობრივ ჩემპიონატებს, თუმცა ის ტურნირები, რომლებიც მასში მოსახვედრად იმართება და საკვალიფიკაციო დატვირთვას ატარებს, სრულყოფილად ჩატარდა.

უპირველესად, ეს გახლდათ თბილისის ასაკობრივი ჩემპიონატები, რომლებიც დედაქალაქის პრიზიორთა გამოვლენასთან ერთად კონკრეტული ასაკობრივი ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი გახლდათ და მისი ორგანიზატორი საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასთან ერთად დედაქალაქის კალათბურთის განვითარების კავშირიც იყო.

სეზონი 14-წლამდელთა თბილისის ჩემპიონატით გაიხსნა, რომელშიც 21 გუნდი მონაწილეობდა. კენჭისყრის შედეგად 4 ჯგუფში განაწილებულმა გუნდებმა 1 წრე ითამაშეს, რის შემდეგაც თითოეული-დან 2-2 საუკეთესო პლეი ოფში (მეოთხედფინალში) გავიდა. ამით 8 გუნდმა საქართველოს 14-წლამდელთა ჩემპიონატში ასპარეზობის უფლება მოიპოვა და ბრძოლა თბილისის საუკეთესო გუნდის ტიტულის მოსაპოვებლად განაგრძო.

ჩემპიონატი ზაზა ფაჩულიას აკადემიის გუნდმა მოიგო, რომელსაც ყველაზე დიდი ბრძოლა ნახევარფინალში, "ვინგსთან" შეხვდა. შეხვედრა აკადემიელებმა დაძა-ბულ ბრძოლაში - 63:61 მოიგეს და ფინალში "ჰიუნდაი 1"-ს შანსი არ დაუტოვეს - 95:50 სძლიეს. მებრძოლმა "ვინგსმა" კი ბრინჯაოს მედლები "იბერთან" დაპირისპი-რებაში მოიპოვა, რომელიც 19 ქულით - 66:47 დაამარცხა.

ასაკობრივი ჩემპიონატები

მეორე ადგილზე გასული ჰიუნდაელები მედლებითა და სიგელებით თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის პრეზიდენტმა, ვლადიმერ ძიძიგურმა და გამგეობის წევრმა მამუკა ლომიძემ დააჯილდოვეს. მათვე გადასცეს ოქროს მედლები და სიგელები ჩემპიონ ზაზას აკადემიელებს.

ტურნირის ყველაზე გამორჩეულ მოთამაშედ ზაზას აკადემიის წევრი ლუკა მუჯირიშვილი დასახელდა, რომელიც საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის მრჩეველმა - ზაზა ღონღაძემ დააჯილდოვა. გამარჯვებულებს საჩემპიონო თასი თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის პრეზიდენტმა, ვლადიმერ ძიძიგურმა გადასცა.

თბილისის 16-წლამდელთა ჩემპიონატში 19 გუნდი ასპარეზობდა, რომლებიც ასევე 4 ჯგუფში იყვნენ გადანაწილებულნი. საერთოდ, თბილისის ყველა ასაკობრივ ჩემპიონატში ზოგადი ფორმატი ერთნაირი იყო: 4 ჯგუფი, რომლებიდანაც მეოთხედფინალში 2-2 საუკეთესო გუნდი გადიოდა და პლეი ოფის საგზური საქართველოს ჩემპიონატში მოხვედრის გარანტი იყო.

16-წლამდელთა ჩემპიონატში ჯგუფში იყოჩაღეს და პლეი ოფში გავიდნენ: დინამო, აკადემია 1, ზაზა 1, მართვე, ორბი, ვინგსი, ჰიუნდაი 1, ჰიუნდაი 2. საბოლოოდ, გამარჯვება დინამოელებს დარჩათ, რომლებსაც მთელი ჩემპიონატის მანძილზე რეალური წინააღმდეგობა არც შეხვედრიათ. მამუკა ტურაშვილის გაწვრთნილმა გუნდმა ფინალური მატჩი 97:54 მოუგო ჰიუნდაი 1-ს და ჩემპიონი გახდა. მესამე ადგილისთვის მატჩში კი ზაზა 1-მა ორბი არ დაინდო - 112:43.

ფინალის შემდეგ, დაჯილდოების ცერემონიალზე მოხდა გამონაკლისი შემთხვევა, როცა ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ წაგებული გუნდის წევრი დაასახელეს. MVP-ის ტიტულის მფლობელი გახდა ჰიუნდაელი ლუკა ლურსმანაშვილი, რომელსაც პრიზი თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის გამგეობის წევრმა, დავით ლომიძემ გადასცა. დინამოელთა კაპიტან გიორგი სულაბერიძეს კი საჩემპიონო თასი თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის პრეზიდენტმა, ვლადიმერ ძიძიგურმა უსახსოვრა. ჩემპიონი დინამოელები, ცხადია, მედლებითა და შესაბამისი სიგელებითაც დაჯილდოვდნენ.

რაც შეეხება 18-წლამდელთა თბილისის ჩემპიონატს, მასში 18 გუნდი მონაწილეობდა, რომელთაგან ჯგუფურ ეტაპზე ნაჩვენები შედეგების გათვალისწინებით საქართველოს ჩემპიონატის საგზურები შემდეგ 8 საუკეთესოს ერგო: აკადემია 1, აკადემია 2, დინამო, მეგა, ზაზა 1, მართვე 1, ვინგსი 1 და ჰიუნდაი. როგორც 16-წლამდელებში, ჩემპიონობა აქაც არავის დაუთმო დინამომ, რომელმაც მეოთხედფინალში მეგას (105:45), ნახევარფინალში - აკადემია 1-ს (75:71), ხოლო ფინალში მართვეს 85:70 აჯობა.

ფინალური მატჩის შემდეგ გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი. მართვეს გუნდი ვერცხლის მედლებითა და სიგელებით თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის პრეზიდენტმა, ვლადიმერ ძიძიგურმა და ვეტერანმა კალათბურთელმა კახა ბაღათურიამ დააჯილდოვეს.

ჩემპიონ დინამოელებს მედლები და სიგელები



ვლადიმერ ძიძიგურმა და საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის მრჩეველმა - ზაზა ღონღაძემ გადასცეს. ტურნირის საუკეთესო მოთამაშე გახდა ვლადიმერ თავაქარაშვილი, რომელსაც პრიზი ზაზა ღონღაძემ გადასცა.





საჩემპიონო თასიც დინამოელთა კაპიტანმა, ვლადიმერ თავაქარაშვილმა ჩაიბარა, რომელიც მას თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის პრეზიდენტმა, ვლადიმერ ძიძიგურმა გადასცა.

ტურნირზე მე-3 ადგილი დაიკავა საკალათბურთო კლუბმა "აკადემიამ", რომელმაც "ჰიუნდაის" შანსი არ დაუტოვა. ფინალამდე გამართული მატჩი მე-3 ადგილისთვის აკადემიელებმა 89:59 მოიგეს. ბრინჯაოს მედალოსნები თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის პრეზიდენტმა, ვლადიმერ ძიძიგურმა და გამგეობის წევრმა, მამუკა ლომიძემ დააჯილდოვეს.



თბილისის ასაკობრივ ჩემპიონატებში პლეი ოფში გასულმა გუნდებმა საქართველოს შესაბამის ასაკობრივ ჩემპიონატში გადაინაცვლეს, ხოლო ვინც ეს ვერ მოახერხა, მათთვის და კიდევ ნებისმიერი მსურველისთვის გაზაფხულიდან "ბ" ლიგის ასაკობრივი ჩემპიონატები დაიწყო.

როცა კორონავირუსის გამო, მარტის დასაწყისში საქართველოს ასაკობრივი ჩემპიონატები შეჩერდა, თითქმის ყველა ტურნირში თამაშების თანაბარი რაოდენობა იყო ჩატარებული. საქართველოს ასაკობრივ ჩემპიონატებში 8-10 ტური იყო გამართული და ლიდერებიც გამოიკვეთნენ, თუმცა პანდემიის გამო სეზონი შეჩერდა და პრიზიორები არ გამოვლენილან.

რაც შეეხება "ბ" ლიგის ასაკობრივ ჩემპიონატებს, მათში გასულ სეზონში რეკორდულად ბევრი გუნდი დაფიქსირდა. ოთხივე - 14, 16, 18 და 20 წლამდელთა ჩემპიონატში ჯამში 133 გუნდი დარეგისტრირდა და საინტერესო სეზონიც იგეგმებოდა, თუმცა პანდემიის გამო მხოლოდ რამდენიმე ტურის გამართვა იქნა შესაძლებელი.

კორონავირუსის გამო ვერ დაიწყო გაზაფხულისთვის დაგეგმილი არაერთი ტურნირი, რომელთაგან გამოსარჩევია Junior NBA-GBF ლიგა - ყველაზე მასშტაბური საბავშვო საკალათბურთო ტურნირი საქართველოში, რომელშიც შარშან 110-მა გუნდმა მიიღო მონაწილეობა და წლეულს მოთხოვნილება მნიშვნელოვნად იყო გაზრდილი. პანდემიის გამო აგრეთვე ვერ დაიწყო გოგონათა 14, 16 და 18 წლამდელთა ჩემპიონატები.

ასაკობრივი ჩემპიონატები

18 ᲓᲘᲓᲔᲑᲚᲔᲑᲘ

14 ᲓᲘᲓᲔᲑᲚᲔᲑᲘ

16 ᲓᲘᲓᲔᲑᲚᲔᲑᲘ

თბილისის ქალთა ბურთის განვითარების კავშირი

The championships, which go on for a long time during the season, could not be completed due to the Coronavirus pandemic. Obviously, this affected the youth championships of Georgia, however, the tournaments that are held to get into them and have the qualifying nature were held perfectly.

First of all, it was the Tbilisi age championships, which, along with the discovery of the capital's prize-winners, became the qualifying tournament for a particular age championship and its organizer was the Tbilisi Basketball Development Union together with the Georgian Basketball National Federation.

The season opened with the Tbilisi U-14 Championship, in which 21 teams participated. The teams divided into 4 groups after the draw, played 1 round, after which, 2-2 best teams of each group went to playoffs (quarterfinals). With this, 8 teams gained the right to compete in the Georgian U-14 Championship and continued to fight for the title of the best team in Tbilisi.

The team of Zaza Pachulia Academy won the championship. They had the biggest fight in the semifinals, against Wings. The academy won the match in a tense battle - 63:61 and did not leave a chance to Hyundai 1 in the final - 95:50. Fighter Wings won bronze medals in the confrontation with Iberi, defeating them by 19 points - 66:47.

The second place winners were awarded with medals and certificates by the President of Tbilisi Basketball Development Union, Vladimer Dzidziguri and a member of the Board Mamuka Lomidze. They also awarded the champions - Zaza Academy with gold medals and certificates.









Luka Mujirishvili, a member of Zaza Academy, was named the most outstanding player of the tournament, he was awarded by Zaza Ghonghadze, Advisor to the President of the Georgian Basketball National Federation. Vladimer Dzidziguri, President of Tbilisi Basketball Development Union, handed over the championship cup to the winners.

19 teams competed in the Tbilisi U-16 Championship and they were also divided into 4 groups. In general, the format was the same in all age championships in Tbilisi: 4 groups, from which 2-2 best teams passed in the quarterfinals and a ticket to the playoffs was a guarantee of entering the Georgian championship.



In U-16 championship Dinamo, Academy 1, Zaza 1, Martve, Orbi, Wings, Hyundai 1, Hyundai 2 did a great job and went to playoffs. In the end, the victory went to Dinamo, who haven't even met real resistance throughout the championship. The team trained by Mamuka Turashvili won the final match 97:54 against Hyundai 1 and became the champion. In the match for the third place, Zaza 1 defeated Orbi - 112: 43.

After the final, an exceptional event took place at the award ceremony, when a member of the team that lost, was named the best player of the tournament. Luka Lursmanashvili from Hyundai won the MVP title, which was awarded by Davit Lomidze, a member of the board of the Tbilisi Basketball Development Union. Dinamo captain Giorgi Sulaberidze was awarded the championship cup by the President of the Tbilisi Basketball Development Union, Vladimer Dzidziguri. The champion Dinamo players, of course, were awarded with medals and certificates as well.

As for the Tbilisi U-18 Championship, 18 teams took part in it. According to the results of the group stage, the tickets for the Georgian championship went to the following 8 best: Academy 1, Academy 2, Dinamo, Mega, Zaza 1, Martve 1, Wings 1 and Hyundai. As in the U-16s, Dinamo did not give the championship to anyone, defeating Mega in quarterfinals (105:45), Academy 1 in semifinals (75:71) and Martve in finals 85:70.

A prize ceremony was held after the match. Vladimer Dzidziguri, President of the Tbilisi Basketball Development Union, and Kakha Baghaturia, a veteran basketball player, awarded Martve with silver medals and certificates.

Vladimer Dzidziguri and Zaza Ghonghadze, Advisor to the President of the Georgian Basketball National Federation, awarded medals and certificates to the champion Dinamo. Vladimer Tavakarashvili became the best player of the tournament, who was awarded by Zaza Gongadze. Vladimer

Tavakarashvili, the captain of Dinamo, also took the championship cup, which was given to him by the President of the Tbilisi Basketball Development Union, Vladimer Dzidziguri.

The 3rd place in the tournament was taken by the basketball club Academy, which did not leave a chance for Hyundai. The match for the 3rd place, which was held before the final was won by the Academy 89:59. Bronze medalists were awarded by Vladimer Dzidziguri, President of the Tbilisi Basketball Development Union, and Mamuka Lomidze, a member of the Board.

The teams that reached the playoffs in the Tbilisi age championships moved to the relevant age championships of Georgia and for those who failed to do so and for anyone interested, the age championships of the B League started in the spring.

When the Georgian age championships were suspended in early March due to Coronavirus, an equal number of games were played in almost all tournaments. 8-10 rounds were held in the age championships of Georgia and the leaders were also revealed, however, due to the pandemic, the season was cancelled and the prize winners were not identified.

As for the age championships of B league, a record number of teams were recorded in them last season. A total of 133 teams have registered for the U-14, U-16, U-28 and U-20 Championships, and an exciting season was planned, although only a few rounds have been held because of the pandemic.

Due to Coronavirus, a number of tournaments scheduled for the spring have not started, of which the Junior NBA-GBF League is distinct as the largest children's basketball tournament in Georgia, in which 110 teams took part last year and the demand has increased significantly this year. Due to the pandemic, the girls' championships for U-14, U-16 and U-18 girls could not start either.







U-18

სატურნირო ცხრილი

გუნდები / Teams					თ / G	მ / W	წ / L	ქ / PTS	ა / P
ჰიუნდაი / Hyundai		55:72	85:57	68:65	3	2	1	5	2
აკადემია 1 / Academy 1	77:55		114:40	94:56	3	3	0	6	1
ვინგსი 2 / Wings 2	57:85	40:114		54:73	3	0	3	3	4
თსსუ / TSSU	65:68	56:94	73:54		3	1	2	4	3

გუნდები / Teams	B ჯგუფი / B Group				თ / G	მ / W	წ / L	ქ / PTS	ა / P
დინამო / Dinamo		120:57	86:47	129:39	3	3	0	6	1
ზაზა 2 / Zaza 2	57:120		40:78	90:51	3	1	2	4	3
მართვე 1 / Martve 1	47:86	78:40		75:41	3	2	1	5	2
ქარი / Kari	39:129	57:90	41:75		3	0	3	3	4

გუნდები / Teams	C ჯგუფი / C Group					თ / G	მ / W	წ / L	ქ / PTS	ა / P
ზაზა 1 / Zaza 1		102:62	80:58	102:35	109:94	4	4	0	8	1
მართვე 3 / Martve 3	62:102		42:52	63:83	69:53	4	1	3	5	4
აკადემია 2 / Academy 2	58:80	52:42		73:65	103:61	4	3	1	7	2
ოვერტაიმი / Overtime	35:102	83:63	65:73		70:54	4	2	2	6	3
საბურთალო / Saburtalo	94:109	53:69	61:103	54:70		4	0	4	4	5

გუნდები / Teams	D ჯგუფი / D Group					თ / G	მ / W	წ / L	ქ / PTS	ა / P
ვინგსი 1 / Wings 1		84:61	95:68	72:48	91:53	4	4	0	8	1
მეგა / Mega	61:84		58:71	40:37	63:61	4	2	2	6	2
მართვე 2 / Martve 2	68:95	71:58		64:71	45:77	4	1	3	5	5
მაქაბი / Makabi	48:72	37:40	71:64		63:50	4	2	2	6	4
თსუ / TSU	53:91	61:63	77:45	50:63		4	1	3	5	3



ასაკობრივი ჩემპიონატები

თბილისის ქალათბურთის განვითარების კავშირი

U-16

სატურნირო ცხრილი

გუნდები / Teams	A ჯგუფი / A Group					თ / G	მ / W	წ / L	ქ / PTS	ა / P
ჰიუნდაი 1 / Hyundai 1		65:91	61:47	70:54	74:64	4	3	1	7	2
დინამო / Dinamo	91:65		89:53	76:42	105:50	4	4	0	8	1
ზაზა 2 / Zaza 2	47:61	53:89		64:80	57:61	4	0	3	3	5
იბერი / Iberi	54:70	42:76	80:64		61:68	4	1	3	5	4
ოვერტაიმი / Overtime	64:74	50:105	61:57	68:61		4	2	2	6	3

გუნდები / Teams	B ჯგუფი / B Group					თ / G	მ / W	წ / L	ქ / PTS	ა / P
ზაზა 1 / Zaza 1		119:56	77:43	126:29	104:45	4	4	0	8	1
ვინგსი / Wings	56:119		55:41	90:51	56:66	4	3	1	7	2
ზაზა 3 / Zaza 3	43:77	41:55		79:37	63:69	4	1	3	5	4
აკადემია 2 / Academy 2	29:126	51:90	37:79		24:46	4	0	4	4	5
საბურთალო / Saburtalo	45:104	55:56	69:63	46:24		4	2	2	6	3

გუნდები / Teams	C ჯგუფი / C Group					თ / G	მ / W	წ / L	ქ / PTS	ა / P
ორბი / Orbi		75:49	67:63	66:58	53:48	4	4	0	8	1
ზაზა 4 / Zaza 4	49:75		46:70	54:37	40:37	4	2	2	6	3
მართვე / Martve	63:67	70:46		74:43	65:54	4	3	1	7	2
მეგა / Mega	58:66	37:54	43:74		47:66	4	0	4	4	5
აკადემია 3 / Academy 3	48:53	37:40	54:65	66:47		4	1	3	5	4

გუნდები / Teams	D ჯგუფი / D Group				თ / G	მ / W	წ / L	ქ / PTS	ა / P
ჰიუნდაი 2 / Hyundai 2		85:65	70:31	66:53	3	3	0	6	1
აკადემია 1 / Academy 1	65:85		74:53	99:28	3	2	1	5	2
ქარი / Kari	31:70	53:74		58:51	3	1	2	4	3
ზაზა 5 / Zaza 5	53:66	28:99	51:58		3	0	3	3	4



U-14

სატურნირო ცხრილი

გუნდები / Teams	A ჯგუფი / A Group					თ / G	მ / W	წ / L	ქ / PTS	ა / P
იბერი 1 / Iberi 1		47:39	78:42	81:48	67:66	4	4	0	8	1
აკადემია 1 / Academy 1	39:47		59:38	67:33	54:52	4	3	1	7	2
ოვერტაიმი / Overtime	42:78	38:59		58:42	52:67	4	1	3	5	4
ჰიუნდაი 2 / Hyundai 2	48:81	33:67	42:58		43:70	4	0	4	4	5
ზაზა 2 / Zaza 2	66:67	52:54	67:52	70:43		4	2	2	6	3

გუნდები / Teams	B ჯგუფი / B Group					თ / G	მ / W	წ / L	ქ / PTS	ა / P
ჰიუნდაი 1 / Hyundai 1		85:31	71:37	91:18	125:15	4	4	0	8	1
ორბი / Orbi	31:85		38:56	58:39	74:14	4	2	2	6	3
ზაზა 3 / Zaza 3	37:71	56:38		55:28	88:17	4	3	1	7	2
ვინგსი 2 / Wings 2	18:91	39:58	28:55		46:18	4	1	3	5	4
აკადემია 3 / Academy 3	15:125	14:74	17:88	18:46		4	0	4	4	5

გუნდები / Teams	C ჯგუფი / C Group						თ / G	მ / W	წ / L	ქ / PTS	ა / P
ზაზა 1 / Zaza 1		79:40	71:46	105:39	94:15	137:32	5	5	0	10	1
მართვე / Martve	40:79		29:67	98:40	68:21	79:20	5	3	2	8	3
იბერი 2 / Iberi 2	46:71	67:29		92:37	70:18	84:23	5	4	1	9	2
ვინგსი 3 / Wings 3	39:105	40:98	37:92		47:41	54:19	5	2	3	7	4
ზაზა 4 / Zaza 4	15:94	21:68	18:70	41:47		47:30	5	1	4	6	5
თსუ / TSU	32:137	20:79	23:84	19:54	30:47		5	0	5	5	6

გუნდები / Teams	D ჯგუფი / D Group						თ / G	მ / W	წ / L	ქ / PTS	ა / P
ვინგსი 1 / Wings 1		75:33	39:13	80:24	137:14	92:17	5	5	0	10	1
თავდაცვა / Tavdacva	33:75		52:63	36:49	56:27	25:53	5	1	4	6	5
ქარი / Kari	13:39	63:52		47:54	64:37	45:49	5	2	3	7	4
აკადემია 2 / Academy 2	24:80	49:36	54:47		47:21	47:48	5	4	1	9	2
საბურთალო / Saburtalo	14:137	27:56	37:64	21:47		21:36	5	0	5	5	6
ზაზა 5 / Zaza 6	17:92	53:25	49:45	47:48	36:21		5	3	2	8	3



საქართველოს 18-წლამდელთა ჩემპიონატი
U-18 CHAMPIONSHIP

სატურნირო ცხრილი — STANDINGS

	გუნდი / Team	მ W	წ L	ქ PTS		გუნდი / Team	მ W	წ L	ქ PTS
1	დინამო Dinamo	10	0	20	7	ვინგსი Wings	4	6	14
2	ზაზა Zaza	8	1	17	8	ქუთაისი Kutaisi	4	5	13
3	ჰიუნდაი Hyundai	6	3	15	9	ქუთაისი 2 Kutaisi 2	2	7	11
4	მართვე Martve	6	3	15	10	სოხუმი Sokhumi	2	7	11
5	აკადემია Academy	5	4	14	11	აკადემია 2 Academy 2	0	9	9
6	რუსთავი Rustavi	4	6	14					

საქართველოს 16-წლამდელთა ჩემპიონატი
U-16 CHAMPIONSHIP

სატურნირო ცხრილი — STANDINGS

	გუნდი / Team	მ W	წ L	ქ PTS		გუნდი / Team	მ W	წ L	ქ PTS
1	ზაზა Zaza	8	2	18	7	სოხუმი Sokhumi	4	5	13
2	დინამო Dinamo	8	0	16	8	ქუთაისი 2 Kutaisi 2	4	4	12
3	ჰიუნდაი Hyundai	7	2	16	9	ვინგსი Wings	3	6	12
4	აჭარის ნაკრები Adjara	5	4	14	10	ჰიუნდაი 2 Hyundai 2	2	7	11
5	აკადემია Academy	5	3	13	11	ხაშური Khashuri	1	8	10
6	ქუთაისი Kutaisi	5	3	13	12	მართვე Martve	0	8	8

საქართველოს 14-წლამდელთა ჩემპიონატი
U-14 CHAMPIONSHIP

სატურნირო ცხრილი — STANDINGS

	გუნდი / Team	მ W	წ L	ქ PTS		გუნდი / Team	მ W	წ L	ქ PTS
1	ზაზა Zaza	9	0	18	7	ზაზა 3 Zaza 3	3	7	13
2	თბ. ბასკეტ იბერი Iberi	8	2	18	8	აკადემია Academy	2	9	13
3	ვინგსი Wings	8	0	16	9	ფოთი Poti	3	5	11
4	ჰიუნდაი Hyundai	5	4	14	10	ქუთაისი 2 Kutaisi 2	1	8	10
5	ქუთაისი Kutaisi	6	2	14	11	აკადემია 2 Academy 2	0	9	9
6	რუსთავი Rustavi	5	4	14					





დუდუ დადიანის მემორიალი

ტრაგიკულად დაღუპული საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის, დუდუ დადიანის მემორიალური ტურნირი საქართველოში 2002 წლიდან ტარდება. გასულ სეზონში დუდუს თასის რიგით მე-18 გათამაშება გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა სუპერლიგის 9 გუნდმა მიიღო.
გასული სეზონის შედეგების გათვალისწინებით, მონაწილეები 3 ჯგუფში გადანაწილდნენ.

“ა” ჯგუფი – ქუთაისი, ოლიმპი, თსუ
“ბ” ჯგუფი – რუსთავი, კაკტუსი, დინამო
“გ” ჯგუფი – ბათუმი, ვერა, ტიტები

გათამაშების ფორმატის თანახმად, ჯგუფში გამართული 1 წრის შემდეგ პირველ ადგილზე გასული გუნდები ნახევარფინალში გავიდნენ, რომლებსაც საუკეთესო მეორეადგილოსანი დაემატათ. ჯგუფში ორივე მატჩი მოიგეს და ფინალის საგზური იოლად მოიპოვეს "ბათუმმა" და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა. "ბ" ჯგუფში კი გვარიანი დაძაბულობა იყო - სამივე მონაწილემ თითო მოგებ-წაგება დააგროვა და პირველი ადგილი ბურთების შეფარდების გათვალისწინებით "დინამოს" ერგო. ნახევარფინალში გასული საუკეთესო მეორეადგილოსანიც "ბ" ჯგუფიდან იყო - თბილისის "კაკტუსი".
ნახევარფინალურ შეხვედრებში ბრძოლა არ შედგა. თსუ-მ დამაჯერებლად - 90:71 სძლია "კაკტუსს", ხოლო ბათუმელებმა "დინამო თბილისი" 98:84 დაამარცხეს. ამ შედეგების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ დუდუ დადიანის თასს ახალი მფლობელი ეყოლებოდა.

დუდუ დადიანის მემორიალი

მემორიალის 17-წლიან ისტორიაში არც "ბათუმს" და არც თსუ-ს დუდუს თასი მოგებული არ ჰქონდათ.
სატიტულო მატჩში დაძაბულობა მხოლოდ პირველ პერიოდში აღინიშნა, რომელიც ფრედ - 18:18 დასრულდა. მეორე მეოთხედში თამაში გიორგი კორსანტიას მშვენიერი გარჯის ხარჯზე გაიხსნა, რომელმაც სამწამიან ზონასა და მის მისადგომებთან მეურვეები დაჯაბნა და თსუ-ს წინ გაჭრის საშუალება მისცა. უნივერსიტეტელებმა ათწუთეული 24:8 მოიგეს და დიდ შესვენებაზე 16-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ – 42:26. მატჩის ბედიც ფაქტობრივად აქ გადაწყდა. მეორე ნახევარში თსუ-მ მეტი აქცენტი დაცვაზე გადაიტანა, რითაც მეტოქეს ქულების მოპოვების საშუალება მაქსიმალურად შეუზღუდა და გამარჯვებამდეც იოლად მივიდა - 87:69.
მატჩის შემდეგ გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი, რომელსაც დამსახურებული სპორტული კომენტატორი და ყველასთვის კარგად ნაცნობი ჯამლეტ ხუხაშვილი გაუძღვა. ტურნირის საუკეთესო მოთამაშის პრიზი გიორგი კორსანტიას დუდუ დადიანის ძმისშვილებმა – სანდრომ და ანდრიამ გადასცეს. თსუ-ელთა კაპიტანმა, გიორგი კორსანტიამ ჩაიბარა დუდუ დადიანის თასიც, რომელიც უნივერსიტეტელებისთვის პირველია. მემორიალის ფინალში თსუ აქამდე სამჯერ იყო, თუმცა 2002, 2005 და 2009 წლებში სტუდენტურმა გუნდმა ტიტულის მოგება ვერ შეძლო. მეოთხე ცდაზე, ლექსო ლაფანაშვილისა და ირაკლი ძიძიგურის წინამძღოლობით, თსუ დუდუ დადიანის თასს პირველად დაეპატრონა.







დუდუ დადიანის მემორიალი



The tournament of remembrance of Dudu Dadiani, the Vice President of the Georgian Basketball Federation, has been held in Georgia since 2002. Last season, the 18th Dudu Cup was held with the participation of 9 teams from the Super League.
Based on the results of the last season, the participants were divided into 3 groups.


Group A – Kutaisi, Olimpi, TSU
Group B – Rustavi, Cactus, Dinamo
Group C – Batumi, Vera, Titebi

According to the format of the draw, after 1 round in the group, the first place teams reached the semifinals, to which the best second place winners were added. Batumi and the team of Tbilisi State University won both matches in group and easily gained a ticket to the finals. While there was a lot of tension in the B Group - all three participants had one victory and one loss and the first place went to Dinamo considering the ratio of balls. The best second-place holder in the semifinal was from Group B as well - Tbilisi Cactus.
The fight did not take place in the semifinal matches. TSU convincingly beat Cactus - 90:71, while Batumi defeated Dinamo Tbilisi 98:84. Following these results, it became known that the Dudu Dadiani Cup would have a new owner. Neither Batumi nor TSU had won the Dudu Cup in the 17-year history of the memorial.
Tensions in the title match were mentioned only in the first period, which ended equally - 18:18. In the second quarter, the game was opened at the expense of Giorgi Korsantia's

DUDU DADIANI MEMORIAL

wonderful job, who did better than his rivals in the three-second zone and gave TSU chance to advance. The team of the University won the period 24:8 and had a 16-point advantage before the big break – 42:26. The fate of the match was, in fact, decided here. In the second half, TSU focused more on defense, thus limiting the ability of the opponent to score points and easily reached the victory - 87:69.

Prize ceremony was held after the match. It was led by well-known and honorable sports commentator – Jamlet Khukhashvili. Giorgi Korsantia was awarded with the prize of the best player of the tournament by Dudu Dadiani's nephews – Sandro and Andria. He also got the Dudu Dadiani Cup as a captain of team. TSU had been in the Memorial finals 3 times in 2002, 2005 and 2009, but weren't able to win the title. Now, with the leadership of Leqso Lapanashvili and Irakli Dzidziguri, TSU managed to bring it to the end.



დუდუ დადიანის სახელობის მემორიალის ფინალური შეხვედრები
FINAL MEETINGS OF DUDU DADIANI MEMORIAL

	წელი / Year	გუნდები / Teams	ანგარიში / Score
1	2002	დინამო - თსუ Dinamo - TSU	95:63
2	2003	სტუ-ჯეოსელი - დინამო STU Geocell – Dinamo	87:76
3	2004	სტუ-ჯეოსელი - დინამო STU Geocell – Dinamo	111:102
4	2005	ავიამშენი - თსუ-ნიკორა TAM – TSU Nikora	88:77
5	2006	ენერჯი ინვესტი - ავიამშენი Energy Invest - TAM	85:69
6	2007	ენერჯი ინვესტი - ვითა Energy Invest - VITA	88:66
7	2008	ენერჯი ინვესტი - აგრარული Energy Invest - Agr. Uni	101:73
8	2009	ენერჯი ინვესტი - თსუ Energy Invest - TSU	91:69
9	2010	ენერჯი ინვესტი - შსს Energy Invest - MIA	72:60
10	2011	შსს - ქუთაისი MIA - Kutaisi	75:93
11	2012	არმია - შსს აკადემია Army - MIA Academy	68:57
12	2013	სოხუმი - არმია Sokhumi - Army	84:57
13	2014	რუსთავი - დინამო Rustavi - Dinamo	72:60
14	2015	ბარსი - ქუთაისი Barsy - Kutaisi	78:74
15	2016	ქუთაისი - დინამო Kutaisi - Dinamo	63:75
16	2017	დინამო - ოლიმპი Dinamo - Olimpi	67:48
17	2018	დელტა - ტიტები Delta - Titebi	85:78
18	2019	თსუ -ბათუმი TSU - Batumi	87:69



სატურნირო ცხრილი STANDINGS

A ჯგუფი / A Group

	გუნდი / Team	მ W	წ L	ქ PTS
1	თსუ TSU	2	0	4
2	ოლიმპი Olimpi	1	1	3
3	ქუთაისი Kutaisi	0	2	2

B ჯგუფი / B Group

	გუნდი / Team	მ W	წ L	ქ PTS
1	დინამო Dinamo	1	1	3
2	კაკტუსი Cactus	1	1	3
3	რუსთავი Rustavi	1	1	3

C ჯგუფი / C Group

	გუნდი / Team	მ W	წ L	ქ PTS
1	ბათუმი Batumi	2	0	4
2	ტიტები Titebi	1	1	3
3	ვერა Vera	0	2	2





ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალი

ზურაბ საკანდელიძის და მიხეილ ქორქიას

მემორიალი

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონების - ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალური ტურნირის მე-15 გათამაშება ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი და საინტერესო გამოვიდა. დიდი ქართველი კალათბურთელების ხსოვნის ტურნირს რეკორდულად ბევრი - 12 მონაწილე ჰყავდა: ჯგუფური ეტაპი თბილისში ჩატარდა, ხოლო უაღრესად დაძაბულ ფინალურ მატჩს საკანდელიძისა და ქორქიას მშობლიურმა ქალაქმა ქუთაისმა უმასპინძლა.

2019-2020 წლების სეზონის გათამაშებაში სუპერლიგის 11-ვე გუნდი მონაწილეობდა, რომლებსაც დაემატათ „ა“ ლიგის წარმომადგენელი „კავკასია“. სუპერლიგის პირველი წრის შედეგების გათვალისწინებით გუნდები 4 ჯგუფში შემდეგნაირად გადანაწილდნენ:

ა ჯგუფი - თსუ, კაკტუსი, კავკასია
ბ ჯგუფი - დინამო, რუსთავი, მგზავრები
გ ჯგუფი - ბათუმი, ქუთაისი, ცხუმ-აფხაზეთი
დ ჯგუფი - ოლიმპი, ვერა, ტიტები

ჯგუფური ეტაპის თამაშები 17-19 იანვარს თბილისის ოლიმპიურ სასახლეში გაიმართა. დებულების თანახმად, თითოეული ჯგუფის გამარჯვებული ნახევარფინალში გადიოდა. ყველაზე თანაბარი ბრძოლა „დ“ ჯგუფში შედგა, სადაც სამივე გუნდმა თითო მოგებ-წაგება მოაგროვა. პირველადგილოსანი ბურთების შეფარდებით გამოვლინდა და ის გახდა „ოლიმპი“, რომელიც ნახევარფინალში წინა დღით გასულ „კაკტუსს“, „რუსთავს“ და „ქუთაისს“ შეუერთდა.

ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალი

ოლიმპიურ სასახლეში გამართული ნახევარფინალური მატჩები უაღრესად დაძაბული გამოდგა. ორივე შეხვედრაში გამარჯვებული ბოლო წამებზე გამოვლინდა, რაზეც თითქმის იდენტური ანგარიშები მიუთითებს: 78:74 და 78:76.

ორივე შეხვედრაში თამაშის ბედი ერთმა შეტევამ გადაწყვიტა. პირველ შემთხვევაში ეს გახლდათ ილია ლონდარიძის წარმატებული შეტევა, როცა ეროვნული ნაკრების კანდიდატმა ზუსტი გარღვევით თამაშის დასრულებამდე 6 წამით ადრე 4 ქულით დააწინაურა რუსთავი. შეხვედრაც 4-ქულიანი სხვაობით - 78:74 დასრულდა.

მეორე ნახევარფინალში „კაკტუსმა“ ბოლო წამებზე სძლია „ოლიმპს“. მატჩის გმირობამდე ცოტა დააკლდა ოლიმპელთა კაპიტან რევაზ როგავას, რომლის აქტიურობით დიმიტრი ჟაკობოვის გაწვრთნილმა გუნდმა ბოლო პერიოდში 10-ქულიანი ჩამორჩენა აღმოფხრა, თუმცა გადამწყვეტი ბურთი ოლიმპელებმა ვერ ჩააგდეს და ფინალს მიღმა დარჩნენ.

ქუთაისის სპორტის სასახლეში გამართული ფინალური მატჩი ძალიან დაძაბული გამოდგა, რომლის ბედიც დამატებით დროში გადაწყდა. მეორე პერიოდში რუსთაველები 21 ქულით ლიდერობდნენ, თუმცა მაიკლ დევისის წინამძღოლობით ჩამორჩენა გააბათილეს და შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანეს.

დამატებით ხუთწუთეულში საწყისი 4 ქულა კაკტუსელებმა ჩააგდეს და 84:80 დაწინაურდნენ, თუმცა რუსთაველთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გუნდი არ გატყდა და საბოლოოდ გამარჯვებამდე მივიდა. ქვემოქართლელებს გადამწყვეტ ეპიზოდში საბა ლობჯანიძემ ულიდერა, რომელიც დამსახურებულად დასახელდა ტურნირის საუკეთესო ფორვარდად. დაჯილდოების ცერემონიალზე ლობჯანიძეს სპეციალური პრიზი ვეტერანმა კალათბურთელმა გივი ბიჭიაშვილმა გადასცა, ხოლო საუკეთესო უკანახაზელად აღიარებული კაკტუსის ლეგიონერი მაიკლ დევისი ვეტერანმა ნოდარ ქორქიამ დააჯილდოვა.



მთავარი პრიზი – ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას სახელობის თასი რუსთაველთა კაპიტან ლევან ცეკვავას საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა – პაატა გურასპაულმა გადასცა. რუსთავის გუნდმა, რომელმაც ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალის პირველი გათამაშება 2006 წელს მოიგო, გასულ წელს მეხუთედ აღმართა ოლიმპიური ჩემპიონების თასი.







ZURAB SAKANDELIDZE AND MIKHEIL QORQIA MEMORIAL

The 15th draw of the memorial tournament of Georgian Olympic champions - Zurab Sakandelidze and Mikheil Qorqia turned out to be one of the most memorable and interesting. The tournament in memory of the great Georgian basketball players had the most 12 participants: The group stage was held in Tbilisi, and the highly tense final match was hosted by Sakandelidze and Qorqia's hometown Kutaisi.

All 11 teams of the Super League participated in the 2019-2020 season, to which the representative of A League Kavkasia was added. Based on the results of the first round of the Super League, the teams were divided into 4 groups as follows:

Group A – TSU, Cactus, Kavkasia
Group B – Dinamo, Rustavi, Mgzavrebi
Group C – Batumi, Kutaisi, Tskhum-Apkhazeti
Group D – Olimpi, Vera, Titebi

The group stage games were held on January 17-19 at the Tbilisi Olympic Palace. According to the regulations, the winner of each group advanced to the semifinals. The most equal fight took place in the group D, where all three teams gained one win-loss. The first place holder was revealed by the ratio of balls and it became Olimpi, who joined Cactus, Rustavi and Kutaisi in the semifinals.

The semi-final matches at the Olympic Palace turned out to be extremely tense. The winner of both matches was revealed in the last seconds, which is indicated by almost identical reports: 78:74 and 78:76.

The fate of the game in both matches was decided by one

attack. In the first case, it was Ilia Londaridze's successful attack, when the candidate of the national team advanced Rustavi by 4 points 6 seconds before the end of the game with a precise breakthrough. The match also ended with a 4-point difference - 78:74.

In the second semifinal, Cactus defeated Olimpi in the last seconds. Olimpi's captain Revaz Rogava lacked a little to become a hero of the match. Thanks to his activity, the team trained by Dimitri Jakobov, eliminated 10-points difference. However, Olimpi wasn't able to score the decisive ball and stayed out of the finals.

The final match held at the Kutaisi Sports Palace turned out to be very tense, the fate of which was decided in overtime. In the second period, Rustavi was leading with 21 points, but under the leadership of Michael Davis, they reduced the difference and took the match to overtime.

In the additional five minutes, the Cactus team scored the first 4 points and advanced 84:80, however, it should be noted that the team of Rustavi did not break and finally reached the victory. Saba Lobjanidze led the winners in a decisive moment, he was deservedly nominated the best forward of the tournament in the end. Veteran basketball player Givi Bitchiashvili presented special prize to Lobjanidze at the award ceremony and the best guard of the tournament, Cactus'es legionnaire Mike Davis was awarded by veteran Nodar Qorqia.

The main prize - Zurab Sakandelidze and Mikheil Korkia Cup was handed presented by the President of the Georgian Basketball National Federation Paata Guraspauli to the captain of Rustavi Levan Tsekvava. The Rustavi team, which won Zurab Sakandelidze and Mikheil Korkia's memorial tournament in 2006 first time, lifted the Olympic Champions Cup for the fifth time last year.







სატურნირო ცხრილი

STANDINGS

A ჯგუფი / A Group

	გუნდი / Team	მ W	წ L	ქ PTS
1	კაკტუსი Cactus	2	0	4
2	თსუ TSU	1	1	3
3	კავკასია Kavkasia	0	2	2

B ჯგუფი / B Group

	გუნდი / Team	მ W	წ L	ქ PTS
1	რუსთავი Rustavi	2	0	4
2	მგზავრები Mgzavrebi	1	1	3
3	დინამო Dinamo	0	2	2

C ჯგუფი / C Group

	გუნდი / Team	მ W	წ L	ქ PTS
1	ქუთაისი Kutaisi	2	0	4
2	ცხუმ-აფხაზეთი Tskhum-Apkhazeti	1	1	3
3	ბათუმი Batumi	0	2	2

D ჯგუფი / D Group

	გუნდი / Team	მ W	წ L	ქ PTS
1	ოლიმპი Olimpi	1	1	3
2	ტიტები Titebi	1	1	3
3	ვერა Vera	1	1	3

PLAYOFFS





130 years

ბორჯომი

130 წლისაა. ეს მხოლოდ დასაწყისია





ოთარ ქორქიას სახელობის სუპერთასი

ლეგენდარული კალათბურთელისა და მწვრთნელის, ოთარ ქორქიას სახელობის სუპერთასი 2019 წელს “ცხუმ-აფხაზეთმა” მოიგო. გუნდმა, რომელიც წინა, 2018-2019 წლების სეზონში ჩემპიონი “დელტას” სახელით გახდა, შემდეგ სახელი შეიცვალა და საქართველოს თასის მოქმედი მფლობელი “ტიტები” სუპერთასის მატჩში დაამარცხა. ზვიად ანთაძის დებიუტი მთავარი მწვრთნელის პოსტზე წარმატებული გამოდგა. მისმა გაწვრთნილმა “ცხუმ-აფხაზეთმა” საკმაოდ დაძაბულ და საინტერესო მატჩში 72:70 სძლია “ტიტებს” და სეზონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტიტული მოიგო.

მატჩი საკმაოდ დაძაბული, ემოციური და საინტერესო გამოდგა, რომელიც თავიდან ბოლომდე თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. მესამე პერიოდში იყო ეპიზოდი, როცა 6 ქულით ჩამორჩენილმა “ცხუმ-აფხაზეთმა” 14:0 გაქცევა მოაწყო და 8 ქულით გალიდერდა, თუმცა ლაშა გამყრელიძის გაწვრთნილმა “ტიტებმა” ჩამორჩენა მალევე აღმოფხრა და თამაში თანაბარ კალაპოტს დაუბრუნა.

ბოლო პერიოდის დასაწყისში “ცხუმ-აფხაზეთი” 60:53 იგებდა, თუმცა გუნდური თამაშის წყალობით “ტიტებმა” დაწინაურება მოახერხა. აარონ კალიქსტეს, ბესო ლეჟავას და ნიკა მეტრეველის ქულებით გამყრელიძის გუნდი 61:60 გალიდერდა და დარჩენილ 6 წუთში ქულა-ქულაში თამაში გაგრძელდა. გადამწყვეტი გამოდგა ბოლოსწინა წუთები, როცა ვახტანგ გაფრინდაშვილმა, გიორგი შარაბიძემ და კვან უოლერმა მიჯრით სამქულიანები ჩააგდეს, რასაც ამ უკანასკნელის ბონუს-საჯარიმოც მოჰყვა და “ცხუმ-აფხაზეთი” 4 ქულით – 72:68 დაწინაურდა.

ამის მიუხედავად, “ტიტების” მოთამაშეებმა მაინც მოახერხეს შანსის მოპოვება, როცა “ცხუმ-აფხაზეთის” შეტევა ჩაშალეს, ორქულიანი ჩააგდეს და მეტოქის ნახევარზე წამოწყებული პრესინგით ბურთი მოიპოვეს. დარჩენილ 18 წამში გამყრელიძის გუნდმა რამდენჯერმე მოახერხა შეტევა, მაგრამ გამთანაბრებელი სროლა ვერ ჩააგდო. აცილებული ბურთი კვლავ “ტიტების” ამერიკელმა ლეგიონერმა მოხსნა, თუმცა საფინალო სირენა გაისმა.

მატჩის შემდეგ გაიმართა გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი. “ცხუმ-აფხაზეთის” კაპიტანს, ზურა მაჩალაძეს სუპერთასი ოთარ ქორქიას შვილმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა და დამსახურებულმა მწვრთნელმა, ნოდარ ქორქიამ გადასცა.



SUPER CUP

In 2019, Tskhum-Apkhazeti won the Super Cup named after the legendary basketball player and coach Otar Qorqia. The team, which became the champion in the previous, 2018-2019 season under the name of Delta, then changed its name and defeated the current owner of the Georgian Cup Titebi in the Super Cup match. Zviad Antadze's debut as the head coach turned out successful. His trained Tskhum-Apkhazeti defeated Titebi 72:70 in a rather tense and interesting match and won one of the most important titles of the season.

The match turned out to be quite tense, emotional and interesting, which took place in an equal fight from the beginning to the end. In the third period, there was an episode when Tskhum-Apkhazeti, which was 6 points behind, managed to escape 14:0 and became a leader with 8 points. However, Titebi trained by Lasha Gamkrelidze soon eliminated the difference and returned game to an equal fight.

At the beginning of the last period, Tskhum-Apkhazeti was winning 60:53, but thanks to the team game, Titebi managed to advance. Gamkrelidze's team advanced 61:60 with the scores of Aaron Calixte, Beso Lezhava and Nika Metreveli and the game continued equally in the remaining 6 minutes. The crucial moment came when Vakhtang Gaprindashvili, Giorgi Sharabidze and Kwan Waller scored three-pointers in a row. The latter scored a bonus free-throw as well and Tskhum-Apkhazeti advanced by 4 points – 72:68.

Nevertheless, Titebi still managed to get a chance when they disrupted the attack of Tskhum-Apkhazeti, scored a two-pointer and gained the ball with the pressing initiated on the opponent’s half. In the remaining 18 seconds, Gamkrelidze's team managed to attack several times, but failed to score an equalizing shot. The missed shot was again rebounded by the American legionnaire of Titebi, but the final siren sounded.

The prize ceremony of winners was held after the match. Otar Qorqia's son, Nodar Qorqia, an international sports master and honored coach handed the Super Cup to Tskhum-Apkhazeti’s captain Zura Machaladze.







საქართველოს თასი

გასული სეზონის საქართველოს თასის გათამაშება ისტორიული იყო, რომელსაც კორონავირუსის პანდემიის გამო დასრულება არ დასცალდა. საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტიტულის გათამაშებაში თამაშების დიდი უმრავლესობა ჩატარდა, თუმცა ქვეყანაში ვირუსის გამო ყველანაირი სპორტული აქტივობა გაჩერდა.

საქართველოს თასი ოთხთა ფინალამდე იყო მისული, რაც პირველი და შესაბამისად ისტორიული ფორმატია ამ ტურნირისთვის. თასის გამარჯვებულის ოთხთა ფინალით გამოვლენა პირველად გასულ, რიგით მე-18 თასის გათამაშებაში უნდა მომხდარიყო. ფინალური ტურნირის ოთხივე მონაწილეც ცნობილი იყო - თსუ ტიტებს უნდა დაპირისპირებოდა, ხოლო მგზავრები - ოლიმპს, მაგრამ ცნობილი მიზეზების გამო ოთხთა ფინალი აღარ გამართულა.

თასის გათამაშება არ დასრულებულა, თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ ახლებურმა ფორმატმა გაამართლა. კალათბურთის ფედერაციის საშეჯიბრო დეპარტამენტმა შეიმუშავა გათამაშების ახალი სისტემა, რომელიც სამართლიანი და რაც მთავარია, საინტერესო გამოდგა. ტურნირში სუპერლიგისა და "ა" ლიგის 16 გუნდი მონაწილეობდა, რომლებიც სასტუმრო "ჰოლიდეი ინში" ჩატარებულ კენჭისყრაზე მიმდინარე შედეგების მიხედვით 4 კალათაში განითესნენ.

კენჭისყრამ გუნდები მერვედფინალში დააწყვილა. საპლეიოფო სერიები პირველ და მეორე ეტაპებზე 2-მატჩიანი იყო. გუნდებს სერიაში მოგებები რომ

გაეყოთ, უპირატესობა 2 მატჩის ჯამში ბურთების შეფარდებას ენიჭებოდა. ასე დაძლიეს მერვედფინალური და მეოთხედფინალური სერიები თსუ-მ, ოლიმპმა, ტიტებმა და მგზავრებმა და ოთხთა ფინალში გავიდნენ.

განსაკუთრებით საინტერესო და დაძაბული მეოთხედფინალური სერიები გამოდგა, თუმცა მერვედფინალებიდან აღსანიშნავია "ტიტების" გამარჯვება "ქუთაისთან". თასის მოქმედმა მფლობელმა "ტიტებმა" სერიის პირველი მატჩი ქუთაისელებს თბილისში 23 ქულით მოუგო, საპასუხო შეხვედრაში კი 29-ით მარცხდებოდა, თუმცა საბოლოოდ 19 ქულა დათმო და მაინც სასურველი სხვაობა დააფიქსირა.

მეოთხედფინალში "ტიტებმა" გზიდან "ვერა" ჩამოიცილა, რომელსაც პირველი შეხვედრა 17 ქულით მოუგო, საპასუხოში კი ფრე დაფიქსირდა. ფრედ დასრულდა თსუ-სა და" რუსთავის" მეოთხედფინალური სერიის პირველი მატჩიც, თუმცა თბილისში უნივერსიტეტელებმა 73:69 იმარჯვეს და ოთხთა ფინალში გავიდნენ.

ძალიან დაძაბული გამოდგა "ბათუმისა" და "ოლიმპის" მეოთხედფინალური ჯახი, რომელშიც თბილისური შეხვედრა მასპინძელთა 2-ქულიანი გამარჯვებით - 72:70 დასრულდა. ბათუმშიც თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა და მატჩის ბოლო წამებზე ისევ ოლიმპელებმა, ამჯერად მინიმალური სხვაობით - 80:79 იმარჯვეს და ნახევარფინალში "მგზავრებს" შეუწყვილდნენ. თავის მხრივ, მგზავრებმა მეოთხედფინალიდან "დინამო" გააგდო, რომელსაც სერიის ორივე მატჩი - 68:67 და 93:88 მოუგო.

როგორც აღვნიშნეთ, ოთხთა ფინალის ფორმატში ნახევარფინალები და ფინალი ერთმატჩიანი უნდა ყოფილიყო და მისი ჩატარება თბილისში, სუპერლიგის რეგულარული ჩემპიონატის დასრულების შემდეგ იგეგმებოდა, თუმცა კორონავირუსმა თამაშები ჯერ შეაჩერა, ვითარების დამძიმების შემდეგ კი სეზონი პრიზიორთა გამოუცხადებლად დასრულებულად გამოცხადდა.

იმის გათვალისწინებით, რომ პანდემიის გამო არც საქართველოს თასის გათამაშება დასრულდა და არც სუპერლიგა, მომავალ, 2020-2021 წლების სეზონში სუპერთასი აღარ გათამაშდება. მოგეხსენებათ, ბოლო დროს დამკვიდრებული ტრადიციით სეზონი სუპერთასით იხსნებოდა, რომლის კანდიდატებიც დაუსრულებელი ჩემპიონატების გამო არ გამოვლენილან.

GEORGIAN CUP

Last season's Georgian Cup was a historic one, which did not end due to the Coronavirus pandemic. Most of the games were held in one of the most important titles of Georgia, but all sports activities in the country were stopped because of the virus.

The Georgian Cup had reached the four finals, which is the first and, consequently, historical format for this tournament.

The winner of the cup was to be revealed in the four finals for the first time in the last, 18th competition. All four participants of the final tournament were also known - TSU had to face Titebi, and Mgzavrebi – Olimpi. But for obvious reasons the final of the four was no longer held.

The Cup competition didn't end, but it can be boldly said that the new format was justified. The Competition Department of the Basketball Federation has developed a new system, which turned out to be fair and, most importantly, interesting. 16 teams from Super League and A League participated in the tournament and according to the results of the draw held at the Holiday Inn Hotel, they were divided into 4 baskets.

The draw paired teams in playoffs. The playoff series were 2-match in the first and second stages. In order the teams shared the winnings in the series, the advantage was given to the ratio of balls in the total of 2 matches. Thus, TSU, Olimpi, Titebi and Mgzavrebi passed through the eighth-final and quarter-final series and reached the four finals.

Quarterfinal series turned out particularly interesting and tense, however, Titebi's victory over Kutaisi in eight-finals is also noteworthy. Current owners of the cup – Titebi defeated Kutaisi in the first match of the series in Tbilisi by 23 points, but they were losing 29 points in another match. However, finally Titebi lost by 19 points and observed a desired difference.

Titebi eliminated Vera in the quarterfinal, winning the first match by 17 points, second one ended equally. The first match of the quarterfinal series of TSU and Rustavi also ended equally, but TSU won 73:69 in Tbilisi and went to four final.

The quarterfinals of Batumi and Olimpi turned out to be very tense, its Tbilisian match ended with 2-points victory of the hosts – 72:70. Equal fight broke out in Batumi as well and in the last seconds of the match the Olimpians won again, this time with a minimal difference - 80:79 and paired with Mgzavrebi in semifinals. In turn, Mgzavrebi kicked Dinamo out of the quarterfinals, which they won both matches of the series - 68:67 and 93:88.

As we have mentioned, the semi-finals and the finale in the format of the final four should have been one-match and it was planned to be held in Tbilisi after the regular championship of the Super League, However, Coronavirus stopped games first, and after the situation worsened, the season was declared unfinished without announcing the prize winners.

Considering that neither the Georgian Cup nor the Super League is over due to the pandemic, the Super Cup competition will not take place in the next 2020-2021 season. As you know, according to the recently established tradition, the season opened with a Super Cup, the candidates of which were not revealed due to the unfinished championships this time.




ბათუმი
BATUMI
2
ორბი
ORBI
0
ოლიმპი
OLIMPI
2
ზესტაფონი
ZESTAPONI
0
დინამო
DINAMO
2
სპორტუნი
SPORTUNI
0
კაქტუსი
CACTUS
0
მგზავრები
MGZAVREBI
2
ბათუმი
BATUMI
0
ოლიმპი
OLIMPI
2
ოლიმპი
OLIMPI
მგზავრები
MGZAVREBI
დინამო
DINAMO
0
მგზავრები
MGZAVREBI
2
PLAYOFFS
თსუ
TSU
ტიტები
TITEBI
რუსთავი
RUSTAVI
0
თსუ
TSU
1
ვერა
VERA
0
ტიტები
TITEBI
1
რუსთავი
RUSTAVI
2
ცხუმ-აფხაზეთი
TSKHUM-
APKHAZETI
0
თსუ
TSU
2
კავკასია
KAVKASIA
0
ვერა
VERA
2
მეგა
MEGA
0
ქუთაისი
KUTAISI
1
ტიტები
TITEBI
1

საქართველოს
პირველი არხი

სპიმაჯორი

სპორტი პირველზე

ორშაბათი-პარასკევი

12:30

1TV.GE



ყველა ვარსკვლავის მატჩი-აქცია



საქართველოში ყველა ვარსკვლავის მატჩების ჩატარების გეოგრაფია გაფართოვდა. 2020 წლის სუპერლიგის „ოლ სტარს“ ხაშურმა უმასპინძლა. ბოლო წლებში „ყველა ვარსკვლავის მატჩი-აქცია“ ქუთაისში ტარდებოდა და წელს მისი ხაშურში გამართვა ამ ქალაქში ახალი სპორტკომპლექსის აშენებამ განაპირობა.

ყველა ვარსკვლავის მატჩ-აქციის ორგანიზატორი გახლდათ საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია, ხოლო მხარდამჭერები განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, შიდა ქართლის რეგიონალური კალათბურთის ფედერაცია, ხაშურის სპორტკომპლექსის ადმინისტრაცია და ქალაქის მუნიციპალიტეტის მერია.

ყველა ვარსკვლავის მატჩ-აქციაში მონაწილეობდა საქართველოს ჩირლიდერ გოგონათა ნაკრები, რომელმაც მაყურებლებს წუთშესვენებებზე არაერთი ლამაზი ნომერი შესთავაზა. გახსნის ცერემონიალში მიიღო მონაწილეობა ხაშურის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა “ფრესკამ”, ხოლო ადგილობრივთა საყვარელმა მომღერალმა, სოფია საჟინიანმა, რომელიც ლაშა მიქაუტაძესთან ერთად ღონისძიების წამყვანი იყო, შეხვედრის დაწყებამდე მუსიკალური ნომერი შეასრულა. დარბაზში იმყოფებოდნენ საქართველოს ნაკრებისა და ქართული კალათბურთის მხარდამჭერი მასკოტები – ლომი “ჯეო” და მისი ოჯახის წევრები.

ოლ სტარის დაწყებამდე გაჟღერდა საქართველოს ეროვნული ჰიმნი, რომლის დროსაც დარბაზში სახელმწიფო დროშა ეროვნული ნაკრების ყოფილმა

კაპიტანმა, მანუჩარ მარკოიშვილმა და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის განყოფილების უფროსმა ბესო გაჩეჩილაძემ აღმართეს.

ყველა ვარსკვლავის მატჩი ALL STAR 2020

ოლ სტარისთვის მონაწილეები ფედერაციის ვებ-გვერდზე მიმდინარე გამოკითხვის შედეგად შეირჩნენ, სათადარიგოები კი მწვრთნელებმა დაასახელეს. ადგილობრივი მოთამაშეების გუნდს "ბათუმის" მთავარი მწვრთნელი გია კაზანჯიანი უძღვებოდა, ხოლო ლეგიონერებს – „დინამოს" თავკაცი მუჰამედ ტაჩი. მწვრთნელებმა ასისტენტები თავად შეარჩიეს – კაზანჯიანმა დიმიტრი ჟაკობოვი (ოლიმპის მთავარი მწვრთნელი) აირჩია, ხოლო მუჰამედ ტაჩიმ - კოტე ტუღუში(ქუთაისის მთავარი მწვრთნელი).



ლეგიონერები

სასტარტო ხუთეული: ჯორჯე მილოსავლევიჩი (თსუ), დევიდ მაკფარლანდი (თსუ), დენზელ ლივინგსტონი (რუსთავი), ნიკოლა ტადიჩი (რუსთავი), მილოშ პაიოვიჩი (ქუთაისი)

სათადარიგოები: ტაილერ უილიამსი (დინამო), კევინ ობრაიენი (დინამო), კოლინ მალკოლმი (ბათუმი), ჯეიმზ მილიკენი (ქუთაისი), შონ რაუნდთრი (ქუთაისი), კორი სპენსი (ტიტები), ლუკ მეიერი (ტიტები).

ადგილობრივები

სასტარტო ხუთეული: ლუკა ზაქრაძე (თსუ), სანდრო სანაძე (თსუ), გიორგი კორსანტია (თსუ), ალექსანდრე ფევაძე (ბათუმი), გიორგი ტურძილაძე (თსუ)

სათადარიგოები: ბექა ბექაური (ქუთაისი), რევაზ ჩაჩანიძე (ბათუმი), აკაკი დვალიშვილი (რუსთავი), ლუკა ბულაშვილი (დინამო), საბა ლობჯანიძე (რუსთავი), ნიკა დარბაიძე (ოლიმპი), გიორგი ვახანია (ვერა).

მატჩი ტრადიციულად სანახაობრივად, ჯარიმების მაქსიმალური სიმცირით წარიმართა. ორივე გუნდის წევრები ცდილობდნენ, ხაშურის სპორტკომპლექსში მოსული გულშემატკივრისთვის ლამაზი სანახაობა ეჩვენებინათ. შეხვედრაში დაცვა ნაკლებად გამოიყენებოდა და შესაბამისად, მაღალი ანგარიში დაფიქსირდა – 128:115 ქართველი მოთამაშეებისგან დაკომპლექტებული გუნდის სასარგებლოდ.

მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა და სპეციალური – MVP-ის პრიზი გადაეცა თსუ-ის წევრ გიორგი კორსანტიას, რომელმაც არასრულ 23 წუთში 27 ქულა, 14 მოხსნა და 4 პასი მოაგროვა. აღსანიშნავია, რომ ოლ სტარის სასტარტო ხუთეულებში თსუ-ის 6 კალათბურთელი მოხვდა, რომლებმაც თავი ყველა ვარსკვლავის მატჩთან ერთად ჩატენვების კონკურსშიც გამოიჩინეს.





ადგილობრივების გუნდში კორსანტიას შემდეგ ყველაზე შედეგიანი იყო რუსთაველი აკაკი დვალიშვილი – 20 ქულა, 8 მოხსნა, 3 პასი. 19 ქულა დააგროვა ქუთაისელმა ბექა ბექაურმა, ხოლო 15 – ოლიმპელმა ნიკოლოზ დარბაიძემ.

ლეგიონერთა გუნდში 23 ქულით ბომბარდირი გახდა თსუ-ელი დევიდ მაკფარლანდი. 17 ქულა მოაგროვა ტიტების მოთამაშე კორი სპენსმა, ხოლო 15 – ბათუმელმა კოლინ მალკოლმმა.



სამჭულიანების კონკურსი

სამქულიანების კონკურსის ნახევარფინალი მეორე პერიოდის დასრულების შემდეგ გაიმართა და მასში მონაწილეები პერიმეტრის 5 სხვადასხვა წერტილიდან 5-5 ბურთს ესროდნენ. 25 სროლისთვის მონაწილეს 1 წუთი ჰქონდა გამოყოფილი. თითოეული ჩაგდებული ბურთი 1 ქულად ფასობდა, ხოლო ყოველი წერტილიდან სასროლი ბოლო, მე-5 ბურთი 2-ქულიანი გახლდათ. პირველ ეტაპს 2 ფინალისტი უნდა გამოევლინა.

კონკურსში მიმდინარე სუპერლიგის 6 საუკეთესო სნაიპერი მონაწილეობდა – საბა ლობჯანიძე (რუსთავი), სანდრო სანაძე (თსუ), ჯეიმს მილიკენი (ქუთაისი), შონ რაუნდთრი (ქუთაისი), გიორგი ვახანია (ვერა) და რეზო ჩაჩანიძე (ბათუმი).

პირველ გამოსვლაში საუკეთესო შედეგები შონ რაუნდთრიმ (20 ქულა) და საბა ლობჯანიძემ (16) დააფიქსირეს და ფინალში გავიდნენ. ქუთაისის ამერიკელმა ლეგიონერმა ფინალურ გამოსვლაში 19 ქულა მოაგროვა, თუმცა ეს საკმარისი აღმოჩნდა საბა ლობჯანიძის შედეგის გადასაფარად – რუსთავის უკანახაზელმა 12 ქულა მიითვალა და შესაბამისად, გამარჯვებულად შონ რაუნდთრი გამოცხადდა.

ეფექტური გდებების (ჩატენვების) კონკურსი

ჩატენვების კონკურსი ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი იყო ქართული ოლ სტარების ისტორიაში. ოთხივე მონაწილემ ულამაზესი გდებები შეასრულა, თუმცა გამარჯვება მართლაც ეფექტურსა და საუკეთესოს – დევიდ მაკფარლანდს დარჩა, რომლის საჩემპიონო ნომერიც შემდეგნაირი გახლდათ: მაკფარლანდი სამწამიანის ხაზთან მდგომ, 202 სანტიმეტრი სიმაღლის გიორგი კორსანტიას გადაახტა და ჩატენა. ჩემპიონობა

რომ გაინაღდა, მაკფარლანდმა ერთი შთამბეჭდავი გდებაც შეასრულა: კორსანტიას მან კიდევ ორი თანაგუნდელი – ჯორჯე მილოსავლევიჩი და სანდრო სანაძეც შეუწყვილა და სამივეზე გადაფრენით ჩატენა ბურთი. ფანტასტიკური ნახტომის მქონე მაკფარლანდს ჟიურის უკლებლივ ყველა წევრმა – ვეტერანმა კალათბურთელებმა – გივი ბიჭიაშვილმა, გია სანაძემ, ნოდარ ქორქიამ და ზვიად ინაურმა – უმაღლესი შეფასება მიანიჭა.

ფინალში მაკფარლანდმა ჯეიმს მილიკენი დაამარცხა, ხოლო ჩატენვების კონკურსის დანარჩენი მონაწილეები ბათუმელი კოლინ მალკოლმი და ოლიმპელი ნიკა დარბაიძე გახლდნენ. ორივე კალათბურთელმა შესანიშნავი ნომრები შეასრულა, თუმცა მაკფარლანდის სუპერწარმოდგენა ვერ გადაფარეს.

დაჯილდოების ცერემონიალი

მატჩისა და ჩატენვების კონკურსის დასრულების შემდეგ გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი. აქციის ყველა მონაწილე – მოთამაშეები, მწვრთნელები და ექიმები სპეციალური, ვარსკვლავის ფორმის მედალიონებით ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა და ხაშურის მაჟორიტარმა დეპუტატმა სიმონ ნოზაძემ დააჯილდოვეს.

სამქულიანების კონკურსის გამარჯვებულ შონ რაუნდთრის სპეციალური პრიზი და სნაიპერობის დამადასტურებელი სიგელი საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა მანუჩარ მარკოიშვილმა გადასცა, ხოლო ჩატენვების კონკურსის გამარჯვებული დევიდ მაკფარლანდი შიდა ქართლის რეგიონალური კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა – თამაზ ხაჩიურმა დააჯილდოვა.

ოლ სტარ 2020-ის საუკეთესო მოთამაშედ დასახელებულ გიორგი კორსანტიას სპეციალური პრიზი საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა – პაატა გურასპაულმა გადასცა, რის შემდეგაც ხაშურის სპორტკომპლექსში ლამაზი საღამოს დაკვნითი, სადღესასწაულო ფოიერვერკი აენთო.



Khashuri Choreographic Ensemble Fresca took part in the opening ceremony and the favorite singer of the locals, Sofia Sazhiniani, who was the announcer of the event together with Lasha Mikautadze, performed a song before the meeting. There were the mascots supporting the Georgian national team and Georgian basketball - Lion Geo and his family members in the hall.

Before the start of All Star, the Georgian national anthem was played, during which Manuchar Markoishvili, former captain of the national team and Beso Gachechiladze, head of the Education, Culture and Sports Department of Khashuri Municipality raised the state flag in the hall.



The geography of All Star matches in Georgia has expanded. Khashuri hosted Super League All Star 2020. In recent years, the All-Star Match-Action was being held in Kutaisi, and this year moving it to Khashuri was conditioned by the construction of a new sports complex in this city.

The All-Star Match-Action is organized by the Georgian Basketball National Federation and supported by the Ministry of Education, Science, Culture and Sports, Shida Qartli Regional Basketball Federation, Khashuri Sports Complex Administration and the City Hall.

The Georgian girls' cheerleading team took part in the match-action, who offered a number of beautiful dance-shows to the spectators during the minute breaks.



ALL STAR 2020

Participants for All Star were chosen as a result of a survey on the Super League web site, and the coaches filled the spare places. The team of local players was led by Gia Kazanjiani, the head coach of Batumi, while Muhhamed Taci (Dinamo) led the team of legionnaires. The coaches selected the assistants themselves - Kazanjiani selected Dimitri Jakobov (head coach of Olimpi), and Muhammad Taci selected Kote Tughushi (head coach of Kutaisi).



LEGIONNAIRES

Starting five: Djordje Milosavlevic (TSU), David Mcfarland (TSU), Denzel Livingston (Rustavi), Nikola Tadic (Rustavi), Milos Pajovic (Kutaisi)

Substitutes: Tyler Williams (Dinamo), Kevin O'Brian (Dinamo), Collin Malcolm (Batumi), James Milliken (Kutaisi), Shawn Roundtree (Kutaisi), Corey Spence (Titebi), Luke Moyer (Titebi).

LOCALS

Starting five: Luka Zaqradze (TSU), Sandro Sanadze (TSU), Giorgi Korsantia (TSU), Alexandre Phevadze (Batumi), Giorgi Turdziladze (TSU)

Substitutes: Beqa Beqauri (Kutaisi), Revaz Chachanidze (Batumi), Akaki Dvalishvili (Rustavi), Luka Bulashvili (Dinamo), Saba Lobjanidze (Rustavi), Nika Darbaidze (Olimpi), Giorgi Vakhania (Vera).

The match was traditionally spectacular, with minimum amount of fouls. The members of both teams tried to show a spectacular performance to the fans who came to Khashuri Sport Coplex. In the meeting, the defense was used less and accordingly, it ended with a high score – 128:115 in favor of the team composed of Georgian players.

Top scorer and the owner of the prize for the most valuable player was Giorgi Korsantia (TSU), who scored 27 point, 14 rebounds and 4 assists in almost 23 minutes. It is worth mentioning that 6 players of TSU were included in the starting fives of All Star, who also showed themselves in the competition of slam dunks.

In local team, Rustavian Akaki Dvalishvili was the second most effective player after Korsantia – 20 points, 8 rebounds, 3 assists. Beqa Beqauri from Kutaisi collected 19 points, while Nikoloz Darbaidze (Olimpi) had 15 points.

In legionnaires, David Mcfarland (TSU) became a top scorer with 23 point, Corey Spence from Titebi scored 17 points, and Batumian Collin Malcolm collected 15 points.

SHOOT-OUT CONTEST

The semifinals of the shoot-out competition were held after the end of the second period and its participants were shooting 5-5 balls from the 5 different points of the perimeter. Each participant had 1 minute to shoot 25 times. Each ball was rated at 1 point and the final shot from each point was 2 points. The first stage should have revealed 2 finalists.

6 best shooters of the current Super League – Saba Lobjanidze (Rustavi), Sandro Sanadze (TSU), James Milliken (Kutaisi), Shawn Roundtree (|Kutaisi), Giorgi Vakhania (Vera) and Rezo Chachanidze (Batumi) participated in the competition.

Shawn Roundtree (20 points) and Saba Lobjanidze (16 points) showed the best results in the first performance and went to finals. Kutaisi's American legionnaire collected 19 points in the finals, which turned out to be enough to cover Saba Lobjanidze's result – Rustavian player scored 12 points and accordingly Shawn Roundtree became a winner.



SLAM DUNK CONTEST

The Slam Dunk contest was one of the most impressive in the history of Georgian All Star. All four participants made beautiful dunks, but the victory was gained by really effective and the best - David McFarland, who jumped over 202cm tall Giorgi Korsantia. When the championship was already guaranteed, McFarland performed one more impressive dunk: he added two more players to Korsantia – Djordje Milosavlevic and Sandro Sanadze and flew over them. All members of the jury - veteran basketball players - Givi Bitchiashvili, Gia Sanadze, Nodar Qorqia and Zviad Inauri - gave the highest rating to McFarland, who had a fantastic jump.

In the finals, McFarland defeated James Milliken, while the rest of the participants were Collin Malcolm from Batumi and Nika Darbaidze from Olimpi. Both players performed excellent dunks, but McFarland's super performance could not be overshadowed.



AWARDING CEREMONY

An awarding ceremony was held after the match and the slam dunk contest. All participants of the event – players, coaches and doctors were awarded with special star-shaped medals by Giorgi Guraspashvili, Mayor of Khashuri Municipality and Simon Nozadze, Majoritarian MP of Khashuri.

Manuchar Markoishvili, former captain of the Georgian national team, awarded a special prize and a certificate of snipering to the winner of the shoot-out competition – Shawn Roundtree, and David McFarland, winner of the slam dunk contest, was awarded by Tamaz Khachiuri, President of Shida Qartli Regional Basketball Federation.

The best player of the match (MVP) – Giorgi Korsantia was awarded the respective prize eventually by Paata Guraspauli, the President of the Georgian Basketball National Federation. All Star match in Khashuri Sports Coplex finished with solemn fireworks.



ALL STAR

შემადგენლობა

ადგილობრივთა გუნდი

LOCAL TEAM

მწვრ.: გია კაზანჯიანი (ბათუმი) ასისტ.: დიმიტრი ჯაკობოვი (ოლიმპი)
Head Coach: Gia Kazanjiani (Batumi) Assist.: Dimitri Jakobov (Olimpi)

		მოთამაშე / Player	გუნდი / Team
1		ლუკა მაქრაძე Luka Zakradze	თსუ TSU
2		სანდრო სანაძე Sandro Sanadze	თსუ TSU
3		გიორგი კორსანტია Girogi Korsantia	თსუ TSU
4		ალექსანდრე ფევაძე Aleksandre Phevadze	ბათუმი Batumi
5		გიორგი ტურძილაძე Giorgi Turdziladze	თსუ TSU
6		ბექა ბექაური Beka Bekauri	ქუთაისი Kutaisi
7		რევაზ ჩაჩანიძე Revaz Chachanidze	ბათუმი Batumi
8		აკაკი დვალიშვილი Akaki Dvalishvili	რუსთავი Rustavi
9		ლუკა ბულაშვილი Luka Bulashvili	დინამო Dinamo
10		საბა ლობჯანიძე Saba Lobjanidze	რუსთავი Rustavi
11		ნიკა დარბაიძე Nika Darbaidze	ოლიმპი Olimpi
12		გიორგი ვახანია Giorgi Vakhania	ვერა Vera

ლეგიონერთა გუნდი

LEGION TEAM

მწვრ.: მუჰამედ ტაჩი (დინამო) ასისტ.: კოტე ტუღუში (ქუთაისი)
Head Coach: Muhammed Tachi (Dinamo) Assist.: Kote Tughushi (Kutaisi)

		მოთამაშე / Player	გუნდი / Team
1		დევიდ მაკფარლენდი David Mcfarland	თსუ TSU
2		ჯორჯე მილოსავლევიჩი Djordje Milosavlevic	თსუ TSU
3		დენზელ ლივინგსტონი Denzel Livingston	რუსთავი Rustavi
4		ნიკოლა ტადიჩი Nikola Tadic	რუსთავი Rustavi
5		მილოშ პაიოვიჩი Milos Pajovic	ქუთაისი Kutaisi
6		ტაილერ იულიამსი Tyler Williams	დინამო Dinamo
7		კევინ ობრაიაენი Kevin O'brian	დინამო Dinamo
8		კოლინ მალკოლმი Collin Malcolm	ბათუმი Batumi
9		ჯეიმს მილიკენი James Milliken	ქუთაისი Kutaisi
10		შონ რაუნდთრი Shon Roundtree	ქუთაისი Kutaisi
11		კორი სპენსი Corey Spence	ტიტები Titebi
12		ლუკ მეიერი Luke Moyer	დინამო Titebi

უპირატესობა შედეგია ცოდნისა!

ცოდნისა

აუდიტური კონცერნი

დაარსებულია 1997 წლის 23 ივნისს

- ფინანსური აუდიტი (IFRS)
- საგადასახადო აუდიტი
- საკონსულტაციო მომსახურება
- ბუღალტრული მომსახურება
- იურიდიული მომსახურება
- პროგრამული უზრუნველყოფა


უპირველესი წარმატება

23

წლის მანძილზე

WWW.TSODNISA.GE

გაიგე რა ბიზნესს ფლობ სინამდვილეში!



შპს „ცოდნისა" გთავაზობთ ფინანსური ან/და საგადასახადო ანგარიშგების აუდიტს და ინვენტარიზაციის მომსახურებას

თბილისი	579 30 74 74
თელავი	579 30 87 87
ბათუმი, ქუთაისი	579 31 02 02



საქართველოს კალათბურთის მსაჯთა კავშირი




საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და ახალი კადრების მოძიებას. ამ მიმართულებით ბოლო წლებში სოლიდური სამუშაო იქნა გაწეული, რაშიც დიდი წვლილი სერბეთიდან მოწვეულ ვეტერან არბიტრს, დრაგან ნეშკოვიჩს მიუძღვის. მესამე წელია, ფიბა-ს სერბი არბიტრი, რომელსაც საერთაშორისო გამოცდილების ათწლეულები უმაგრებს ზურგს, საქართველოში იმყოფება და ახალგაზრდა მსაჯების მოძიებით, ხოლო მოქმედი არბიტრების განვითარებით არის დაკავებული.

მსაჯთა კავშირის პრეზიდენტი და საპატიო ხელმძღვანელი, ვეტერანი მსაჯი და დამსახურებული საკალათბურთო მოღვაწე როლანდ ხომერიკია, მოადგილე კი პაატა ლობჟანიძე გახლავთ, რომელიც ასევე ეროვნული ნაკრების გენერალური მენეჯერია. კავშირი აერთიანებს ფიბას და ეროვნული ლიცენზიის მქონე მსაჯებს და კომისრებს, მათ შორის ახალგაზრდა, დამწყებ არბიტრებს, რომელთა რიცხვიც ყოველწლიურად იზრდება.

ქართველი არბიტრები სისტემატურად ისმენდნენ დრაგან ნეშკოვიჩის სემინარებს, იხილავდნენ სუპერლიგისა და სხვადასხვა ჩემპიონატების მატჩებს და პერიოდულად აბარებდნენ როგორც ფიზმომზადების, ისე თეორიულ გამოცდებს. მსაჯთა კავშირს საერთაშორისო აქტივობაც ჰქონდა დაგეგმილი, თუმცა კორონავირუსის პანდემიის გამო მსაჯთა კვალიფიკაციის ასამაღლებელმა სემინარებმა ევროპული მოედნებიდან ვირტუალურ სივრცეში გადაინაცვლა. ამ მხრივ ქართული მსაჯთა კორპუსი

საკმაოდ აქტიური იყო. ფიბა-ს სპეციალური პროგრამა SCOD-ის ფარგლებში ქართველი არბიტრებისთვის 3 ონლაინ-სემინარი გაიმართა, რომლებსაც პოლონელი კომისარი გრეგორი ზემბლიცკი უძღვებოდა და მას ბერძენი მსაჯი - გიორგიოს პურსანიდისი ეხმარებოდა.
აღსანიშნავია, რომ FIBA SCOD გახლავთ მსაჯების განვითარების სპეციალური პროგრამა, რომელიც კორონავირუსის პანდემიის პირობებში ონლაინ-რეჟიმში განხორციელდა. ფიბა-ში საქართველოს მსაჯთა რეგიონალური ინსტრუქტორის პოზიციაზე თურქი რუშთუ თურანი პოლონელმა გრეგორი ზემბლიცკიმ შეცვალა, რომელმაც ზემოთაღნიშნული პროგრამის ფარგლებში ჩვენს არბიტრებს პირველი ონლაინ-სემინარი სროლის აქტის თემაზე – AOS (Act of shooting) ჩაუტარა. მეორე სემინარის თემა გახლდათ LEAD მსაჯის მექანიკა თამაშის მიმდინარეობისას, ხოლო მესამეში ქართველმა არბიტრებმა სიმულაციის (ფლოპინგის) განსაზღვრა და მასთან ბრძოლის ხერხები განიხილეს.
პანდემიის პერიოდში მსაჯთა კვალიფიკაციის ონლაინ-სემინარებით ამაღლება აქტიურად მიმდინარეობდა სხვა კუთხითაც. საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მსაჯთა ინსტრუქტორის, დრაგან ნეშკოვიჩის მოწვევით ონლაინ-პლატფორმა ZOOM-ის კონფერენციებში სისტემატიურად ერთვებოდნენ ევროლიგის წამყვანი მსაჯები, რომლებიც სხვადასხვა თემატიკაზე სემინარებს უტარებდნენ ქართველ მსაჯებს. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს და ქართველ კოლეგებს საკუთარი გამოცდილება და შეხედულებები გაუზიარეს ისეთმა მსაჯებმა, როგორებიც არიან სრეტან რადოვიჩი, საშა პუკლი, ილია ბელოშევიჩი, ოლეგს ლატიშევსი... ხსენებულმა პროფესიონალმა მსაჯებმა კალათბურთის თამაშის თანმდევი თითქმის ყველა კომპონენტი განიხილეს და



თითოეული თემატური სემინარის შემდეგ ქართველი კოლეგების ინტერესი საინტერესო პასუხებით დააკმაყოფილეს.
მსაჯებთან ერთად, აღნიშნულ სემინარებს, დაინტერესებული მწვრთნელებიც ესწრებოდნენ. სემინარებზე მონაწილეობა მიიღეს საკალათბურთო კლუბების და ნაკრები გუნდების მწვრთნელებმა.
საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციისთვის პრიორიტეტად რჩება მსაჯთა კორპუსის შემადგენლობის გაზრდა და მოქმედი არბიტრების კვალიფიკაციის ამაღლება, რაზეც მუშაობა მომავალ სეზონშიც აქტიურად გაგრძელდება.

GBF.GE



GEORGIAN BASKETBALL REFEREES' UNION



Georgian Basketball National Federation pays special attention to raising the qualification of referees and finding new staff. Solid work has been done in this direction in recent years, a great contribution to this is made by the veteran arbitrator invited from Serbia, Dragan Neskovic. For the third year in a row, FIBA's Serbian arbitrator, backed by decades of international experience, is in Georgia and is busy finding young referees while developing current ones.

President and Honorary Head of the Referees' Union is veteran referee and honored basketball figure Roland Khomeriki and the deputy is Paata Lobzhanidze, who is also the general manager of the national team. The Union brings together FIBA and nationally licensed referees and commissioners, including young, beginner arbitrators, whose number is growing each year.

Georgian arbitrators regularly listened to Dragan Neskovic's seminars, discussed Super League and various championship matches and periodically passed both physical training and theoretical examinations. The Referees' union had also planned an international event, however, due to the coronavirus pandemic, referee training seminars have moved from European arenas to virtual space. The Georgian referee corps was quite active in this regard. 3 online seminars were held for Georgian arbitrators within the framework of FIBA special program SCOD, which was led by Polish commissioner Gregory Zemblitsky and Greek referee – Georgios Pursanidis was assisting him.

It should be noted that FIBA SCOD is a special program for the development of referees, which was implemented online during the coronavirus pandemic. Turkish Rushtu Turan was replaced by Polish Gregory Zemblitsky as the Regional Instructor of Georgian Referees at FIBA. Who conducted the first online seminar on the topic of - AOS (Act of shooting) to our arbitrators within the framework of the above-mentioned program. The topic of the second workshop was LEAD Referee Mechanics during the game and in the third, the Georgian arbitrators defined the simulation (flopping) and discussed the ways to fight it.

During the pandemic, the qualification of referees through online seminars was actively promoted in other areas as well. At the invitation of the referee instructor of the Georgian Basketball National Federation, Dragan Neskovic, the leading Euroleague referees were systematically involved in conferences of online platform ZOOM. They conducted seminars on various topics for Georgian referees. The conference was attended by such referees as Sretan Radovic, Sasha Pukl, Ilia Belosevic, Oleg Latishevs, who shared their experience and contacts with their Georgian colleagues... The aforementioned professional referees reviewed almost all the components accompanying a basketball game and satisfied the interest of Georgian colleagues with interesting answers after each thematic seminar.

Along with the referees, interested coaches also attended the mentioned seminars. Coaches of basketball clubs and national teams took part in seminars.

The priority for the Georgian Basketball National Federation remains to increase the composition of the referee corps and to improve the qualification of the current referees, which will continue to be actively worked on next season.

საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა
და სპორტის სამინისტრო



საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მწვრთნელთა განყოფილება




კორონავირუსის პანდემიამ კალათბურთის მწვრთნელთა კავშირსაც შეუშალა ხელი, თუმცა zoom-ის ონლაინ-პლატფორმის გამოყენებით მწვრთნელთა კავშირი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური რგოლი იყო გასულ სეზონში.

კავშირის უშუალო მოვალეობა ქვეყანაში მწვრთნელთა საქმიანობის მონიტორინგი, ახალგაზრდა მწვრთნელთა ხელშეწყობა და მათთვის კლასის ამაღლებაში დახმარებაა. კავშირის, რომლის პრეზიდენტი დავით უსტიაშვილი გახლავთ, ერთ-ერთ მთავარ პროექტს წარმოადგენს მწვრთნელთა გადამზადებისა და ლიცენზირების პროგრამა, რომელიც 2015 წელს დაიწყო და მის ფარგლებში 350-ამდე მწვრთნელმა მიიღო შესაბამისი კატეგორიის ლიცენზია.

სანამ პანდემია დაიწყებოდა, მწვრთნელთა კავშირმა გადამზადებისა და ლიცენზირების პროგრამის პირველი ეტაპის სემინარ-გამოცდები ჩაატარა. მასში მონაწილეობა 40-მდე მწვრთნელმა მიიღო და გამოცდების ჩაბარებით შესაბამისი, C კატეგორიის ლიცენზიებიც დაიმსახურეს. პროგრამის მთავარი კოორდინატორი გახლავთ ასაკობრივი ნაკრებების გამოცდილი მწვრთნელი გელა წულაძე.

დამწყები მწვრთნელებისთვის სემინარები ევროპის ყველაზე პრესტიჟული სამწვრთნელო პროგრამის (FIBA Europe Coaching Certificate) ლიცენზიანტებმა - დიმიტრი ჯაკობოვმა და დავით როგავამ ჩაატარეს. აქვე გეტყვით, რომ აღნიშნულ საერთაშორისო პროგრამაში საქართველოს მწვრთნელთა კავშირი აქტიურადაა ჩართული, თუმცა კორონავირუსის პანდემიის გამო მისი საზაფხულო სემინარებიც გადაიდო. შეგახსენებთ, რომ

FECC-ს მიმდინარე პროგრამაში ანატოლი ბოისა და ირაკლი ძიძიგური არიან ჩართულნი.
მწვრთნელთა გადამზადებისა და ლიცენზირების პროგრამა პერმანენტულად განგრძობადი პროექტია და მისი სემინარ-გამოცდებიც პერიოდულად იმართება ხოლმე, რათა მწვრთნელობის დაწყების მსურველებმაც მიიღონ შესაბამისი სერთიფიკატები საქმიანობის დასაწყებად. პროგრამას ორგანიზებას უწევენ მწვრთნელთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტი ნოდარ ავალიშვილი და კალათბურთის ფედერაციის მწვრთნელთა განყოფილების უფროსის მოადგილე გაგი კვერენჩხილაძე. პროგრამის ბოლო ნაწილი მომავალ სეზონში დაიწყება, რომელიც A კატეგორიის ლიცენზიას გასცემს და სუპერლიგაში მომუშავე მწვრთნელებისთვის იქნება საჭირო.



COACHES' DEPARTMENT OF THE GEORGIAN BASKETBALL FEDERATION

The coronavirus pandemic also disrupted the basketball Coaches' Union, However, using the Zoom online-platform, the Coaches' Union was one of the most active links last season.
The direct responsibility of the Union is to monitor coaching activities in the country, support young coaches and help them improve their class. One of the main projects of the Union, chaired by Davit Ustiashvili, is a coach training and licensing program, which started in 2015 and up to 350 coaches have received licenses in the relevant category since then.
Before the pandemic started, the Coaches' Union conducted the first phase of the training and licensing program. Up to 40 coaches took part in it and earned the relevant, C category licenses by passing the exams. The main coordinator of the program is Gela Tsuladze, an experienced coach of the national youth teams.
The seminars for beginner coaches were conducted by the licensees of the most prestigious coaching program in Europe (FIBA Europe Coaching Certificate) - Dimitri Jakobov and Davit Rogava. It should be noted that the Georgian Coaches' Union is actively involved in the above-mentioned international program, however, due to the coronavirus pandemic, its summer seminars were also postponed. We would like to remind you that Anatoli Boisa and Irakli Dzidziguri are involved in the current FECC program.
The coaching and licensing program is a permanent, ongoing project and its seminars and exams are also held periodically, so that those who want to start coaching can also get the relevant certifications to start the activity. The program is organized by Nodar Avalishvili, Vice-President of the Coaches' Union and Gagi Kverenchkhiladze, Deputy Head of the Coaches' Department of the Basketball Federation. The last part of the program will start next season, which will issue A Category license and will be required for coaches working in the Super League.





მწვრთნელთა კავშირის ონლაინ პლატფორმა

მარტის თვეში, საქართველოსა და მთელ მსოფლიოში ეპიდემიოლოგიური ვითარების გაუარესების გამო, საქართველოს კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ გადაწყვიტა, ინტერნეტის მაქსიმალურად გამოყენებით მწვრთნელთა დისტანციური გააქტიურება და ამით მათი კვალიფიკაციის ამაღლება. პროგრამა მოიცავდა ონლაინ-კურსებს, სემინარებს და სხვადასხვა სახის დისტანციურ აქტივობებს, რომლებიც გათვლილი იყო როგორც დამწყები, ისე გამოცდილი მწვრთნელებისთვის.

პროგრამის მთავარი ინსტრუქტორი საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ეროვნულ ნაკრებში ილიას ზუროსის თანაშემწე და საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების კოორდინატორი, მილოშ გლიგორიევიჩი გახლდათ. პროგრამა განხორციელდა საქართველოს მწვრთნელთა კავშირის ტექნიკური დახმარებით, რომლის პრეზიდენტმა, დავით უსტიაშვილმა ყველა გამართულ ონლაინ-კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა.

პროგრამის თითოეულ სემინარს (ასეთი სულ 10 ჩატარდა) საშუალოდ 50-60 მონაწილე ჰყავდა.

ონლაინ სემინარები ჩაატარეს საქართველოს ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბის წევრებმა - ილიას ზუროსმა, გეორგიოს ლიმნიატისმა, მილოშ გლიგორიევიჩმა, ფიზმომზადების სპეციალისტებმა - ჯორჯ ვავეცისმა და ირაკლი შიოშვილმა, 16-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელებმა - დიმიტრი ჯაკობოვმა და დავით როგავამ.

კონფერენციას საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების, სუპერლიგის, "ა" ლიგის, ასაკობრივი ჩემპიონატების გუნდებისა და კალათბურთის ეროვნული ფედერაციის სხვადასხვა პროგრამებში მონაწილე მწვრთნელები სისტემატურად ესწრებოდნენ.

ONLINE PLATFORM OF THE COACHES' UNION

In March, due to the deteriorating epidemiological situation in Georgia and around the world, the Georgian Basketball National Federation decided to use the Internet as much as possible to remotely activate coaches and thus, improve their skills. The program included online courses, seminars and a variety of remote activities, which were designed for both beginners and experienced coaches.

The main instructor of the program was Milos Gligorijevic, the head coach of the Georgian U-20 team, the assistant of Ilias Zouros in the national team and the coordinator of the Georgian youth teams. The program was implemented with the technical assistance of the Georgian Coaches' Union, whose president, Davit Ustiashvili, took part in all the online conferences.

Each seminar of the program, 10 in total, had an average of 50-60 participants.

The online seminars were conducted by the members of the coaching staff of the Georgian national team - Ilias Zouros, Georgios Limniatis, Milos Gligorijevic, physical training specialists - George Vavetsis and Irakli Shioshvili, the coaches of the U-16 team - Dmitri Jakobov and Davit Rogava.

The conference was systematically attended by coaches participating in various programs of Georgian Basketball Federation, Youth national teams, Super League, A League, youth championship teams.

ილიას ზუროსის ონლაინ სემინარები

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ინიციატივითა და მწვრთნელთა კავშირის ორგანიზებით, საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ილიას ზუროსმა, ქართველი მწვრთნელებისთვის ორი ძალიან საინტერესო სემინარი ჩაატარა.

ილიას ზუროსის პირველი ონლაინ-სემინარი ძირითადად დაცვით სისტემებს ეხებოდა და ბერძენმა სპეციალისტმა ამ კომპონენტში საკუთარ მსოფლმხედველობაზე ისაუბრა. კონფერენციაში სრული შემადგენლობით ჩაერთვნენ საქართველოს ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბის წევრები – გეორგიოს ლიმნიატისი, მილოშ გლიგორიევიჩი, ჯორჯ ვავეცისი, ანატოლი ბოისა, მანუჩარ მარკოიშვილი, ირაკლი შიოშვილი.

კონფერენციაში მთლიანობაში 100-მდე მონაწილე ჩაერთო, მსმენელთა ძირითად ბირთვს კი სუპერლიგისა და საკალათბურთო სკოლების ახალგაზრდა მწვრთნელები შეადგენდნენ, რომლებმაც საკმაოდ აქტიური მონაწილეობა მიიღეს საკალათბურთო თემების განხილვაში და ეროვნული ნაკრების მწვრთნელს არაერთი საინტერესო კითხვა დაუსვეს.

ილიას ზუროსი კმაყოფილი დარჩა ონლაინ-კონფერენციით და ახალგაზრდა მწვრთნელთა პროფესიული აქტიურობით. ბერძენმა სპეციალისტმა განაცხადა, რომ ეროვნული ნაკრების კარი ნებისმიერი მწვრთნელისთვის ღიაა, მათ შეუძლიათ ვარჯიშებს დაესწრონ და მისი დასრულების შემდეგ ეროვნული ნაკრების მწვრთნელებთან მათთვის საინტერესო დეტალებზე პირადად გაისაუბრონ.

დაახლოებით 60 მწვრთნელი დაესწრო საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის მეორე ონლაინ-სემინარსაც, რომლის თემაც შეტევაზე ორიენტირებული ტაქტიკა იყო. ილიას ზუროსმა შეტევის კომპონენტებზე ისაუბრა, მწვრთნელებს დიაგრამები, ვიდეოკლიპები წარმოუდგინა და სემინარის დასკვნით ნაწილში მათ კითხვებს უპასუხა.

ONLINE SEMINARS OF ILIAS ZOUROS

With the initiative of the Georgian Basketball Federation and with the organization of the Coaches' Union, the head coach of the Georgian national team, Ilias Zouros, held two very interesting seminars for Georgian coaches.

Ilias Zouros' first online seminar was mainly on defense systems and the Greek specialist spoke about his own view on this component. Members of the coaching staff of the Georgian national team participated in the conference in full force – Georgios Limniatis, Milos Gligorijevic, George Vavetsis, Anatoli Boisa, Manuchar Markoishvili and Irakli Shioshvili.

The conference was attended by about 100 participants in total, at the core of the listeners were young coaches from the Super League and basketball schools, who have been quite active in discussing basketball topics and asked number of interesting questions to the coach of the national team.

Ilias Zouros was satisfied with the online conference and the professional activity of the young coaches. The Greek specialist said that the door of the national team is open for any coach, they can attend the training sessions and talk to the national team coaches in person about the details that are of interest to them after its completion.

About 60 coaches also attended the second online seminar of the head coach of the Georgian national team. The theme was offensive-tactic. Ilias Zouros spoke about the offensive components, presented diagrams, video clips to the coaches and answered their questions in the final part of the seminar.





საქართველოს ეროვნული ნაკრების ფიზმომზადების მწვრთნელების ონლაინ სემინარები

პანდემიის პერიოდში ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი ონლაინ სემინარები ჩაატარეს ფიზმომზადების სპეციალისტებმა, ჯორჯ ვავეცისმა და ირაკლი შიოშვილმა.

ბერძენი სპეციალისტის და მედიცინის დოქტორის, ჯორჯ ვავეცისის სემინარები კალათბურთისთვის ისეთ განუყოფელ კომპონენტებს შეეხო, როგორებიცაა ფიზმომზადება, კვების რაციონი, გეგმაზომიერი დატვირთვები, ტრავმის პრევენცია, ფსიქოლოგია, ახალი ტექნოლოგიები და ა.შ.

ფიზმომზადების თემაზე ამომწურავად ისაუბრა ეროვნულ ნაკრებში ამ სფეროს სპეციალისტმა ირაკლი შიოშვილმა. მისი ონლაინ-კონფერენცია შემდეგ საკითხებს შეეხო:

- ფიზმომზადების როლი თანამედროვე კალათბურთში და კოოპერირება სამწვრთნელო შტაბთან.
- საკალათბურთო ათლეტიზმი. ოპტიმალური მომზადება ვარჯიშებისა და თამაშებისთვის.
- სავარჯიშო ასაკი. რომელია ყველაზე ეფექტური დაცვითი მოძრაობა მოედანზე.
- ათლეტის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელი ფუნდამენტი.

ონლაინ-სემინარები მაისის მიწურულს შეწყდა, როცა კალათბურთის ფედერაციამ სპეციალური პროგრამა შეიმუშავა და პოსტპანდემიურ პერიოდში, შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების რეკომენდაციებისა და რეგულაციების დაცვით, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით, ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების ვარჯიშები განაახლა.

ONLINE SEMINARS OF THE PHYSICAL TRAINING COACHES OF THE GEORGIAN NATIONAL TEAM

During the pandemic, very interesting and important online seminars were conducted by physical training specialists George Vavetsis and Irakli Shioshvili.

The seminars of George Vavetsis, a Greek specialist and doctor of medicine, focused on such integral components for basketball as physical training, diet, planned workloads, injury prevention, psychology, new technologies and etc.

Irakli Shioshvili, a specialist in the national team, conducted a comprehensive seminar on physical training. His online conference addressed the following topics:

- The role of physical training in modern basketball and cooperation with the coaching staff.
- Basketball Athletics. Optimal preparation for exercises and games.
- Training age. Which is the most effective defensive movement on the court.
- A necessary foundation for the formation of an athlete.

Online seminars ceased at the end of May, when the Basketball Federation developed a special program and resumed training of national and youth teams in the post-pandemic period, in compliance with the recommendations and regulations of the relevant state structures and in agreement with the Ministry of Education, Science, Culture and Sports.



JRNBALEAGUE.GE


jr. nba League

GBF

GEORGIAN BASKETBALL NATIONAL FEDERATION
საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია



გიორგი ანწუხელიძის სახელობის 3X3 საკალათბურთო ტურნირი



საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ორგანიზებითა და კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მხარდაჭერით აგვისტოს თვეში საქართველოს ეროვნული გმირის, გიორგი ანწუხელიძის სახელობის 3X3 საკალათბურთო ტურნირი გაიმართა. შეჯიბრებაში ძალოვანი სტრუქტურების 52 გუნდი მონაწილეობდა და პირველ ეტაპს კრწანისის სამხედრო ბაზამ, ხოლო ფინალურს - ბათუმის ბულვარმა უმასპინძლა.

წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის მხარდამჭერ ცენტრ „კრწანისში“ ჩემპიონატის ოფიციალური გახსნის ცერემონიალს საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, მისი მოადგილე რატი ბრეგაძე, თავდაცვის ძალების მეთაური, გენერალ-მაიორი გიორგი მათიაშვილი, თავდაცვის ძალების ხელმძღვანელი პირები და ეროვნული გმირის ოჯახის წევრები დაესწრნენ. ტურნირმა სტარტი გიორგი ანწუხელიძის დაბადების დღეს, 18 აგვისტოს აიღო და ის ჩვენი ქვეყნის ეროვნული ჰიმნით გაიხსნა, რომელიც გიორგი ანწუხელიძის ქალიშვილმა - ანამ შეასრულა.

შეჯიბრის დაწყებამდე, თავდაცვის სამინისტროსა და კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელსაც თავდაცვის მინისტრის მოადგილემ რატი ბრეგაძემ და ფედერაციის პრეზიდენტმა, პაატა გურასპაულმა მოაწერეს ხელი.

კრწანისის შესარჩევი ეტაპის შედეგად 8 საუკეთესო გუნდმა ბათუმში - ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა. ფინალში ერთმანეთს გენერალური შტაბის გუნდი “ორბი” და დასავლეთ სარდლობის

გუნდი “ნუგელა” დაუპირისპირდნენ. თამაში გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და საბოლოოდ “ნუგელას” გამარჯვებით, ანგარიშით 11:7 დასრულდა.

გიორგი ანწუხელიძის სახელობის გარდამავალი თასის ტურნირზე საპრიზო ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა - მე-2 ადგილი მოიპოვა გენერალური შტაბის გუნდმა “ორბი”, ხოლო მე-3 ადგილი - სამხედრო პოლიციის გუნდმა “სარანგი”. თავდაცვის მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, საპრიზო ფონდი შეიქმნა. პირველ ადგილზე გასული გუნდის თითოეულმა წევრმა ჯილდოდ 1500 ლარი მიიღო. თავდაცვის მინისტრის საპრიზო ფონდიდან ფულადი ჯილდო მეორე და მესამე ადგილზე გასული გუნდების მოთამაშეებსაც ერგოთ - 1000 და 500 ლარის ოდენობით. გამარჯვებულ გუნდებს მედლებიც გადაეცათ. გიორგი ანწუხელიძის საკალათბურთო ტურნირი ტრადიციული გახდება და ის ყოველწლიურად, აგვისტოში გაიმართება.

ტურნირის ფინალურ შეხვედრაზე ცნობილი გახდა, რომ კალათბურთის ეროვნული ფედერაცია გიორგი ანწუხელიძის ვაჟს, რომელსაც სპორტის ამ სახეობის მიმართ დიდი ინტერესი გააჩნია, სპორტულ განვითარებაში ხელს შეუწყობს და კალათბურთის პროფესიონალურ დონეზე შესწავლაში დაეხმარება.

ტურნირი დაჭრილ-დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების პარა-საკალათბურთო საჩვენებელი მატჩით დასრულდა.







GIORGI ANTSUKHELIDZE 3X3 BASKETBALL TOURNAMENT



With the initiative of the Ministry of Defense of Georgia and with the support of the Basketball National Federation, a 3X3 basketball tournament named after the Georgian national hero, Giorgi Antsukhelidze was held in August. 52 teams of law enforcement agencies participated in the competition. The first stage was hosted by Krtsanisi military base, and the final - by Batumi Boulevard.

The Minister of Defense of Georgia Irakli Gharibashvili, his Deputy Rati Bregadze, the Commander of the Defense Forces, Major General Giorgi Matiashvili, the leaders of the Defense Forces and the family members of the national hero were present on the official Opening Ceremony of the Championship in the Support Center for Training and Military Education Command Krtsanisi. The tournament started on Giorgi Antsukhelidze's birthday, August 18 and opened with the national anthem of our country, which was performed by Giorgi Antsukhelidze's daughter - Ana.

Prior to the match, a Memorandum of cooperation was signed between the Ministry of Defense and the Basketball National Federation, which was signed by Deputy Defense Minister Rati Bregadze and Federation President Paata Guraspauli.

As a result of Krtsanisi qualifying round, the 8 best teams won the right to compete in the final stage in Batumi. The team of the General Staff – Orbi and the team of the Western Command Nugela played in the finale. The game was held with a transitional advantage and finally ended with the victory of Nugela, with the score 11:7.

The prize places at the Giorgi Antsukhelidze Transitional Cup tournament were distributed as follows: – The 2nd place was won by the team of the General Staff Orbi, and the 3rd place – by the military police team Sarangi. By the decision of the Minister of Defense Irakli Gharibashvili, a prize fund was created. Each member of the first place team received a reward of 1500 GEL. Cash prizes from the prize fund of the Minister of Defense also went to the players of the second and third place teams – in the amount of 1000 and 500 GEL. The winning teams were also awarded medals.Giorgi Antsukhelidze basketball tournament will become traditional and it will be held annually in August.

At the final match of the tournament, it became known that the Basketball National Federation will support the son of Giorgi Antsukhelidze, who has a great interest in this sport, in development and they will help him study basketball at a professional level.

The tournament ended with a para-basketball demonstration game by the wounded-servicemen.





მიხეილ ჩხენკელი საქართველოს ეროვნულ ნაკრებს შეხვდა

სერბეთიდან გამარჯვებით დაბრუნების შემდეგ, 25 თებერვალს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ ჩხენკელი საქართველოს საკალათბურთო ნაკრებს შეხვდა და 2021 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წარმატებულად დაწყება მიულოცა. შეხვედრას მინისტრის მოადგილე შალვა გოგოლაძე, კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი პაატა გურასპაული, ეროვნული ნაკრების მოთამაშეები, მწვრთნელები და ფედერაციის ხელმძღვანელები ესწრებოდნენ. ჩვენმა გუნდმა თბილისში შვეიცარია, ხოლო ბელგრადში მსოფლიო გრანდი – სერბეთის ნაკრები დაამარცხა და საკვალიფიკაციო ეტაპის ჯგუფს სათავეში ჩაუდგა.

კალათბურთელებთან შეხვედრაზე, მინისტრმა 2021 წლის ევრობასკეტის მასპინძლობასა და ახალი სპორტის სასახლის მშენებლობის საკითხზე ისაუბრა. მიხეილ ჩხენკელმა აღნიშნა, რომ სპორტული კომპლექსის გახსნის შემდეგ, დედაქალაქში შეიქმნება ახალი საკალათბურთო კერა, რომლის მთავარი ნაწილი 10 000 გულშემატკივარზე გათვლილი, მულტიფუნქციური სპორტული დარბაზი იქნება.

მინისტრი სასკოლო და საუნივერსიტეტო სპორტის განვითარებასაც შეეხო. ჩხენკელის თქმით, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვასა და მასობრივი სპორტის განვითარებაში წარმატებული სპორტსმენების წვლილი განსაკუთრებით მნიშნელოვანია. მინისტრმა გამოთქვა ინიციატივა, რომ სახელოვანი სპორტსმენები, მათ შორის კალათბურთელები უფრო აქტიურად ჩაერთონ სამოყვარულო სპორტის განვითარების პროცესში.

მიხეილ ჩხენკელი: „პირველ რიგში გილოცავთ ევრობასკეტის შესარჩევი ეტაპის წარმატებულად დაწყებას! შვეიცარიის ნაკრების დამარცხებითა და მსოფლიო კალათბურთის გრანდთან – სერბეთთან გამარჯვებით ქართველ გულშემატკივრებს უდიდესი სიხარული მოგვანიჭეთ. მოუთმენლად ველით ევროპის ჩემპიონატის დაწყებას, რომელსაც თბილისი უმასპინძლებს. ახალი სპორტის სასახლე ახალ საკალათბურთო კერას გააჩენს. ბუნებრივია, ევრობასკეტის შემდეგ, ეს კერა სპორტული თვალსაზრისით დატვირთული უნდა იყოს. სპორტული კომპლექსის მომავალს მასობრივი სპორტის განვითარებას ვუკავშირებთ. ამ კუთხით, განსაკუთრებით მნიშნელოვანია სპორტსმენების ჩართულობა, რათა ახალგაზრდა თაობას შევაყვაროთ სპორტი და აქტიურად დავნერგოთ ჯანსაღი ცხოვრების წესი.“

MIKHEIL CHKHENKELI MET WITH THE GEORGIAN NATIONAL TEAM

After returning victorious from Serbia, on February 25, Minister of Education, Science, Culture and Sports Mikheil Chkhenkeli met with the Georgian basketball national team and congratulated the successful start of the 2021 European Championship Qualifiers. The Deputy Minister Shalva Gogoladze, President of the Basketball National Federation Paata Guraspauli, players of the national team, coaches and leaders of the federation attended the meeting. Our team defeated Switzerland in Tbilisi and the world grand - Serbia in Belgrade and became a leader of the qualification group.

During the meeting with basketball players, the Minister spoke about hosting Eurobasket 2021 and the construction of a new sports palace. Mikheil Chkhenkeli noted that after the opening of the sports complex, a new basketball center will be created in Tbilisi, the main part of which will be a multifunctional hall for 10 000 spectators.


The Minister also mentioned the development of school and university sports. According to him, the contribution of successful athletes in the introduction of a healthy lifestyle and the development of mass sports is especially important. The Minister took the initiative to involve famous athletes, including basketball players, more actively in the development of amateur sports.

Mikheil Chkhenkeli: "First of all, congratulations on the successful start of Eurobasket Qualifiers! You gave a great joy to the Georgian supporters with the defeat of the Swiss team and the victory over the world basketball grand - Serbia. We are looking forward to the start of the European Championship, which will be hosted by Tbilisi. The new Sports Palace will give birth to a new basketball hub. Naturally, after Eurobasket, this hub should be loaded in terms of sports. We connect the future of the sports complex with the development of mass sports. In this regard, the involvement of athletes is especially important, so that we make the younger generation love sports and actively promote a healthy lifestyle. "

adjarabet.com



JUNIOR NBA AT HOME



კორონავირუსის პანდემიის გამო არ ჩატარდა ისეთი გრანდიოზული ღონისძიება, როგორიც Junior NBA-GBF ლიგა გახლდათ. საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ამერიკელმა და ევროპელმა პარტნიორებმა 2020 წელს ტურნირის გაუქმების გადაწყვეტილება მიიღეს. შესაბამისად, გაუქმდა Junior NBA-ს მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც ქართველი მოთამაშეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი.

პანდემიის პირობებში Junior NBA-მ გააააქტიურა საკუთარი ონლაინ-პლატფორმა და სოციალური ქსელები, სადაც თავის პროგრამაში ჩართულ და პოტენციურ წევრებს სხვადასხვა სახის აქტივობებს სთავაზობდა.

Junior NBA at Home – ეს გახლავთ ახალი პროგრამა, რომელიც გლობალური კამპანიის – NBA Together-ის ფარგლებში განხორციელდა და განკუთვნილი იყო ჯუნიორ ნბა-ს მონაწილე მოზარდებისთვის ევროპაში და ახლო აღმოსავლეთში. პროგრამა მუშაობდა მობაილ აპლიკაცია OWQLO-ზე როგორც ანდროიდის, ისე IOS-ის მომხმარებლებისთვის.

Junior NBA at Home გახლდათ 30-დღიანი ვარჯიშების სერია, რომელიც განკუთვნილი იყო სახლის შეზღუდული სივრცის პირობებში სავარჯიშოდ და მას უძღვებოდნენ ცნობილი ფიტნეს-ინსტრუქტორები და მწვრთნელები – ნატალი ჰიგბი და კრისტიან პლასჩენცია. პროგრამა მის მომხმარებლებს ყოველდღიურად სთავაზობდა ვარჯიშების სრულ სერიას: გახურების ვარჯიშებს, დრილს, რთულ ვარჯიშებს და სუნთქვით ტექნიკას ვარჯიშის შემდეგ.

აპლიკაციის მეშვეობით მომხმარებლებს ვარჯიშებს პერიოდულად ნბა-სა და ქალთა ნბა-ს ყოფილი და მოქმედი მოთამაშეები, ასევე ჯუნიორ ნბა-ს მწვრთნელები სთავაზობდნენ. სავარჯიშო ვიდეოები ხელმისაწვდომი იყო ჯუნიორ ნბა-ს Facebook, Twitter და Instagram გვერდებზე.

Junior NBA-ს პარალელურად, ამერიკის ნაციონალურმა საკალათბურთო ასოციაციამ კალათბურთის მოყვარულთათვის სრულიად უფასოდ ხელმისაწვდომი გახადა თავისი აქამდე არსებული მობაილ-აპლიკაცია Homecourt. ეს გახლავთ პროგრამა მათთვის, ვინც კალათბურთით სახლის პირობებში დაკავებითაა დაინტერესებული და ეს პრაქტიკა კორონავირუსის პანდემიის პერიოდში ძალიან აქტუალური გახდა.

კალათბურთელებს, სპორტის ამ სახეობის მწვრთნელებს და უბრალოდ კალათბურთის მოყვარულებს ძალიან დაეხმარა აღნიშნული აპლიკაცია საიმისოდ, რომ მათთვის საყვარელ და საინტერესო საქმიანობას არ ჩამოშორებულიყვნენ. აპლიკაცია საშუალებას იძლეოდა, მის ნებისმიერ მომხმარებელს შეექმნა ვირტუალური ჯგუფები, სადაც აერთიანებდა თანაგუნდელებს, მეგობრებს, ან ნებისმიერ ნაცნობსა თუ უცნობს, რომელთა შორისაც სხვადასხვა სახის შეჯიბრი თუ სოციალური ქსელით გამოწვევა იყო შესაძლებელი. მწვრთნელებს საშუალება ჰქონდათ, საკუთარი გუნდი ერთ ჯგუფში გაეერთიანებინათ და მათთვის ყოველდღიური დავალებები მიეცათ.

JUNIOR NBA AT HOME

Due to the coronavirus pandemic, the grand event like the Junior NBA-GBF League was not held. The American and European partners of the Georgian Basketball National Federation have decided to cancel the tournament in 2020. Accordingly, Junior NBA World Championship, in which Georgian players were actively involved, has been canceled.

During the pandemic, the Junior NBA activated its online platform and social networks, where they offered a variety of activities to potential and involved members of its program.

Junior NBA at Home - this is a new program implemented within the global campaign - NBA Together and was designed for teens participating in the Junior NBA in Europe and the Middle East. The program worked on the OWQLO mobile app for both Android and iOS users.

Junior NBA at Home was a series of 30-day workouts designed to train in a confined space at home. And it was led by renowned fitness instructors and coaches - Natalie Higby and Christian Plascencia. The program daily offered its users a full series of exercises: warm-up exercises, drills, hard workouts and breathing techniques after the workout.

Through the app, users were periodically offered exercises by former and current NBA and Women NBA players, as well as junior NBA coaches. Exercise videos were available on Junior NBA's Facebook, Twitter, and Instagram pages.

In parallel with the Junior NBA, the American National Basketball Association has made its existing mobile app Homecourt available to basketball fans completely free of charge. This is a program for those who are interested in playing basketball at home and this practice became very relevant during the coronavirus pandemic.

This application has helped basketball players, coaches of this sport and just basketball lovers a lot so that they do not miss out on their favorite and interesting activities. The app allowed any of its users to create virtual groups where they could team up with teammates, friends, or any acquaintance or stranger, among which various kinds of competition or social networking challenges were possible. The coaches had the opportunity to unite their own teams into one group and give them daily assignments.

GR Georgian Railway EST. 1872



SKILLS CHALLENGE

საქართველოს ვაჟთა და გოგონათა ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო ფიბას 17-წლამდელთა საკალათბურთო უნარ-ჩვევების მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში. მატჩები ჩატარდა დისტანციურად, ვიდეოგადაღების რეჟიმში და გამარჯვებული ფიბა-მ ვიდეოგანხილვის შედეგად გამოავლინა.

საქართველოს გოგონათა და ვაჟთა გუნდებმა 4-4 მატჩი გამართეს, რომელთა გარკვეული რაოდენობა მოიგეს, თუმცა ეს მომდევნო ეტაპზე გასასვლელად საკმარისი არ აღმოჩნდა. ვაჟებმა მოახერხეს გიბრალტარისა და ლატვიის ძლევა, თუმცა დამარცხდნენ რუმინეთთან და პორტუგალიასთან და ჯგუფში მე-3 ადგილი დაიკავეს. საქართველოს ვაჟთა ნაკრების ღირსებას იცავდნენ:

N2 გიორგი მახნიაშვილი
N1 ლუკა ხუციშვილი
N3 ნუგზარ ბოჭორიშვილი
N4 გიორგი გუგუციძე
N5 ლაშა მესხი

გოგონათა ნაკრებმა მოახერხა ლუქსემბურგის ძლევა, თუმცა სლოვაკეთთან, პორტუგალიასთან და ლატვიას-თან დამარცხდა და ჯგუფიდან ნახევარფინალში გასვლა ვერ მოახერხა. ჩვენი ნაკრების ღირსებას იცავდნენ:

N1 ეკატერინე წივწივაძე
N16 ნინი ჭანკვეტაძე
N3 ნონა ცომაია
N19 თაკო პაპუაშვილი
N21 ხატია ქებურია

მოგეხსენებათ, აღნიშნული ტურნირი კორონავირუსის პანდემიის გამო ჩატარდა დისტანციურად და მასში მონაწილეობის უზრუნველყოფას საქართველოს კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ თავი წარმატებით გაართვა. ჩვენმა ფედერაციამ მსოფლიოს უნარ-ჩვევების ჩემპიონატის ორგანიზებაში ფიბა-ს მოწონება დაიმსახურა, რაც მსოფლიო კალათბურთის მმართველმა ორგანიზაციამ ჩვენს ფედერაციას წერილობით ამცნო.

SKILLS CHALLENGE

Georgian boys 'and girls' youth national teams participated in the FIBA U-17 Basketball Skills Challenge qualification tournament. The matches were played remotely, in video mode, and the winner was revealed by FIBA as a result of a video review.

Georgian girls 'and boys' youth national teams played 4-4 matches, some of which they won, but it was not enough to advance to the next stage. The boys managed to beat Gibraltar and Latvia, but lost to Romania and Portugal and finished third in the group. The honor of the Georgian boys' team was defended by:

N2 Giorgi Makhniashvili
N1 Luka Khutsishvili
N3 Nugzar Bochorishvili
N4 Giorgi Gugutsidze
N5 Lasha Meskhi

The girls' team managed to beat Luxembourg, but lost to Slovakia, Portugal and Latvia and failed to reach the semifinals. The honor of our team was defended by:

N1 Ekaterine Tsivtsivadze
N16 Nini Tchankvetadze
N3 Nona Tsomaia
N19 Tako Papuashvili
N21 Khatia Qeburia

As you know, the mentioned tournament was held remotely due to the Coronavirus pandemic and the Georgian Basketball National Federation successfully managed to ensure participation in it. Our federation deserved the approval of FIBA in organizing the World Skills Challenge, which the world basketball governing organization informed our federation by letter.







შიდა ქართლის რეგიონალური ჩემპიონატი

შიდა ქართლის კალათბურთის ფედერაციის ორგანიზებით დეკემბერში შიდა ქართლის რეგიონალური ჩემპიონატი ჩატარდა. ღონისძიების მხარდამჭერები გახლდნენ საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია და გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო.

ტურნირში მონაწილეობა რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტის (ხაშური, ქარელი, გორი, კასპი) 2006 და 2007 წლებში დაბადებულმა გოგონებმა და ვაჟებმა მიიღეს. თამაშებს შოთა ჩოჩიშვილის გორის კომპლექსურმა სპორტული სკოლის დარბაზმა უმასპინძლა.

შეჯიბრება 11 დეკემბერს დაიწყო, ფინალური პაექრობები კი 16 დეკემბერს ჩატარდა. გოგონათა შორის მესამე ადგილზე აგარის გუნდი გავიდა, ოქროს მედლისთვის კი ფინალში გორის და ხაშურის გუნდები დაუპირისპირდნენ. გამარჯვება გორელებს დარჩათ - 72:32.

შიდა ქართლის ვაჟთა ჩემპიონატმა გორის გუნდების დიდი უპირატესობით ჩაიარა. ჩემპიონი გორის პირველი გუნდი გახდა, რომელმაც 55:45 დაამარცხა ,,გორი 2", მესამე ადგილზე კი ,,გორი 3" გავიდა.

გამარჯვებული და პრიზიორი გუნდები, ასევე გამორჩეული მოთამაშეები შესაბამისი თასებითა და პრიზებით დაჯილდოვდნენ.

SHIDA QARTLI REGIONAL CHAMPIONSHIP

Shida Qartli Basketball Federation organized the Shida Qartli Regional Championship in December. The event was supported by the Georgian Basketball National Federation and the Gori Municipality Sports Development and Promotion Agency.

Girls and boys born in 2006 and 2007 in all four municipalities of the region took part in the tournament. The games were hosted by Shota Chochishvili Gori Complex Sports School.

The competition started on December 11 and the final matches were held on December 16. Agara team took the third place among girls. While Gori and Khashuri teams competed for the gold medal in the final. The victory was left to Gori - 72:32.

Shida Qartli Boys' Championship was held with great advantage of Gori teams. The champion became the first team of Gori, which defeated Gori 2 - 55:45. Gori 3 went to the third place.

The prize-winning teams as well as the distinguished players were awarded with respective cups and prizes.







3X3 კალათბურთში შიდა ქართლის რეგიონალური ჩემპიონატი

12 და 13 აგვისტოს გორმა 3X3 კალათბურთში შიდა ქართლის ჩემპიონატს უმასპინძლა. ტურნირში რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტის – ხაშურის, ქარელის, გორისა და კასპის გუნდები იყვნენ წარმოდგენილნი. მთლიანობაში შეჯიბრებაში 16-მა გუნდმა მიიღო მონაწილეობა და საპრიზო ადგილები ქალაქ გორის წარმომადგენლებს ერგოთ.

ტურნირის ორგანიზატორები გახლდნენ შიდა ქართლის კალათბურთის რეგიონალური ფედერაცია და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერია, ხოლო მხარდამჭერი – საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია. გამარჯვებულები გორის მერმა, კოსტანტინე თავზარაშვილმა, მისმა მოადგილემ, პაატა ივანიშვილმა და შიდა ქართლის კალათბურთის რეგიონალური ფედერაციის პრეზიდენტმა, იოსებ ხაჩიურმა დააჯილდოეს.

3X3 კალათბურთში შიდა ქართლის ჩემპიონი გახდა გუნდი “კინგსი” – ვოვა თავაქარაშვილის, გიორგი კვირიკაშვილის, ანდრო ფერსაშვილისა და ფრიდონ კოპალიანის შემადგენლობით. “კინგსმა” ფინალურ მატჩში 16:12 დაამარცხა “Big Z”. მესამე ადგილიც გორის გუნდმა – 24-მა დაიკავა.

საპრიზო ადგილებზე გასული გუნდებისთვის მედლებთან ერთად დაწესებული იყო ფულადი პრემიებიც. ჩემპიონმა გუნდმა თასთან ერთად 500-ლარიანი ჯილდო მიიღო. ვერცხლისმედალოსნებს 300, ხოლო ბრინჯაოს პრიზიორებს – 200 ლარი გადაეცათ. ტურნირის საუკეთესო მოთამაშის პრიზი ვლადიმერ თავაქარაშვილს გადაეცა.

SHIDA QARTLI REGIONAL CHAMPIONSHIP IN 3X3 BASKETBALL

On August 12 and 13, Gori hosted the 3X3 basketball championship of Shida Qartli. Teams from all four municipalities of the region - Khashuri, Qareli, Gori and Kaspi were represented in the tournament. In total, 16 teams took part in the competition and the prize places went to the representatives of Gori.

The tournament was organized by the Shida Qartli Regional Basketball Federation and Gori Municipality, and supported by the Georgian Basketball National Federation. The winners were awarded by Gori Mayor Konstantine Tavzarashvili, his deputy Paata Ivanishvili and Shida Qartli Regional Basketball Federation President Ioseb Khachiuri.

The team Kings consisting of Vova Tavakarashvili, Giorgi Kvirikashvili, Andro Persashvili and Fridon Kopaliani became the champion of Shida Qartli in 3X3 basketball. Kings defeated Big Z in the final match 16:12. Gori team - 24 took the third place.

In addition to medals, there were cash prizes set for the winning teams. The champion team received a 500 GEL prize along with the cup. The silver medalists were awarded 300 GEL, and the bronze medalists - 200 GEL. The prize for the best player of the tournament was awarded to Vladimer Tavakarashvili.



ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდი



ვალერი ლომაძე:

არსებობენ ქვეყანაზე ადამიანები, რომლებიც თავისი სიცოცხლის მანძილზე დაუვიწყარ კვალს ტოვებენ და კეთილ მოგონებად რჩებიან არა მარტო ერთი, არამედ რამდენიმე თაობის მეხსიერებაში. სწორედ მათ რიგს მიეკუთვნებიან ის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები და პრიზიორები, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები, ევროპის ქვეყნების ჩემპიონი თასის მფლობელები, სამჭოთა კავშირის ჩემპიონები და თასის მფლობელები, რომლებიც საქართველოს ჰყავს.

კარგი გამონათქვამია, წარსულს თუ არ ეცი პატივი, თუ დაივიწყე და უარყავი, მომავალს ვერ ააშენებ. საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ადრინდელი და ამჟამინდელი ხელმძღვანელობა ზუსტად ამ პრინციპით მუშაობდა და მუშაობს. სხვა საქმეებთან ერთად, იგი ცდილობდა და ცდილობს, რომ ახალმა თაობამ იცოდეს, ვინ იყო მისი წინაპარი, როგორ ცხოვრობდა და როგორ მიაღწია უდიდეს სპორტულ შედეგებს. ბევრი ქვეყანა ინატრებდა ამდენი ოლიმპიური, მსოფლიო თუ ევროპის ჩემპიონისა და პრიზიორის ყოლას, რამდენიც საქართველოს ჰყავს.

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელობამ ახალგაზრდა კალათბურთელებთან ერთად, ვეტერანი კალათბურთელებიც არ დაივიწყა და 2008 წლის 10 აპრილს დააფუძნა არაკომერციული იურიდიული პირი „ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდი“.

ფონდის საქმიანობის მიზანია:

- ვეტერან კალათბურთელთა ღვაწლის დაფასება;
- ვეტერან კალათბურთელთა სოციალურ-მატერიალური პირობების გაუმჯობესება.

გასულ წელს, პანდემიის რთულ პერიოდში, კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ ვეტერან კალათბურთელებს ფინანსური დახმარება გაუწია.

შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ფედერაციასთან ერთად, „დახმარების ფონდი“ ვეტერან კალათბურთელებს და გარდაცვლილ ვეტერანთა ოჯახებს, თავისი არსებობის მანძილზე, არაერთხელ დაუდგა გვერდში.

„ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდი“ დიდ მადლობას უხდის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, თბილისის მერიასა და კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას თანადგომისა და ფინანსური დახმარებისთვის.

VETERAN BASKETBALL PLAYERS SUPPORT FUND

VALERI LOMADZE:

There are people who leave an unforgettable mark for a lifetime and remain good memories in not just one but several generations. Among them are the Olympic champions and prize-winners, world and European champions, European champion cup holders, Soviet champions and cup holders that Georgia has.

It is a good saying that if you do not respect the past, if you forget and reject it, you will not be able to build the future. The previous and current leadership of the Georgian Basketball National Federation has worked and is working on exactly this principle. Among other things, it has tried and is trying to get the new generation to know who their ancestor was, how they lived and achieved the greatest sporting results. Many countries would longe to have as many Olympic, world or European champions and prize winners as Georgia has.

The leadership of the Georgian Basketball National Federation did not forget about veteran basketball players, along with young players and established a non-profit legal entity Veteran Basketball Players Assistance Fund on April 10, 2008.

The purpose of the Foundation is:

- Appreciating the merits of veteran basketball players;
- Improving the social and material conditions of veteran basketball players.

Last year, during a difficult period of the pandemic, the Basketball National Federation provided financial assistance to veteran basketball players.

We can confidently say that together with the federation, the Assistance Fund has repeatedly stood by veteran basketball players and the families of deceased veterans during its existence.

Veteran Basketball Players Assistance Fund thanks to the Ministry of Education, Science, Culture and Sports of Georgia, Tbilisi City Hall and the Basketball National Federation for their support and financial assistance.



ანტონ კაზანჯიანს 80 წლის იუბილეზე ქართული სპორტის რაინდის წოდება მიენიჭა

ცნობილ ქართველ კალათბურთელს და მწვრთნელს, ფიზიკური აღზრდის პედაგოგიკის პროფესორს, ანტონ კაზანიჯიანს გასულ წელს 80 წელი შეუსრულდა.
იუბილარი სპეციალური სიგელითა და საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისურით კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის მრჩეველმა ზაზა ღონღაძემ დააჯილდოვა.
საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის წარდგინებით, ანტონ კაზანჯიანს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის განკარგულებით, ქართული სპორტის რაინდის წოდება მიენიჭა. ქართული სპორტის რაინდის სპეციალური ორდენი იუბილარ ვეტერანს მინისტრის მოადგილემ, შალვა გოგოლაძემ კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ პაატა გურასპაულთან ერთად გადასცა.
ანტონ კაზანჯიანი გახლავთ საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი, თბილისის „დინამოში“ საბჭოთა კავშირის ორგზის (1959, 1968) ჩემპიონი, თასის მფლობელი (1969), საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი (1960) და ღირსების ორდენის კავალერი.

ANTON KAZANJIANI WAS AWARDED THE TITLE OF KNIGHT OF GEORGIAN SPORTS ON HIS 80th BIRTHDAY

Famous Georgian basketball player and coach, professor of physical education, Anton Kazanijiani turned 80 last year.
Zaza Ghonghadze, Advisor to the President of the Basketball National Federation, awarded the jubilee with a special diploma and a jersey of the Georgian national team.
Submitted by the Georgian Basketball National Federation, Anton Kazanjiani was awarded the title of Knight of Georgian Sports by order of the Minister of Education, Science, Culture and Sports of Georgia. The jubilee veteran was handed over a special order of the Knight of Georgian Sports by the Deputy Minister, Shalva Gogoladze with the president of Basketball Federation Paata Guraspauli.
Anton Kazanjian is a member of the Soviet national team, two-time champion of the Soviet Union (1959, 1968) in Dinamo Tbilisi, owner of the Cup (1969), master of Sports of the Soviet Union (1960) and Knight of the Order of Merit.

დავით უსტიაშვილი

საქართველოს კალათბურთის მწვრთნელთა კავშირის პრეზიდენტს, დავით უსტიაშვილს 50 წელი შეუსრულდა. დავით უსტიაშვილი გახლავთ საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრი, საქართველოს ოთხგზის ჩემპიონი, თამაშობდა თბილისის „დინამოს“, ბათუმის „ბასკოს“, „ვითას“, საბერძნეთის „ფილიპოსის“ შემადგენლობაში. დავით უსტიაშვილის მწვრთნელობით რუსთავის „ენერჯი-ინვესტი“ 4-ჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი. დავით უსტიაშვილი წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების მწვრთნელად. 2006 და 2011 წელს უსტიაშვილის მწვრთნელობით საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები „ბ“ დივიზიონიდან ელიტარულ, „ა“ დივიზიონში გადავიდა.
იუბილარს სპეციალური სიგელი და საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისური კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის მრჩეველმა ზაზა ღონღაძემ გადასცა.

DAVIT USTIASHVILI

Davit Ustiashvili, President of the Georgian Basketball Coaches Union, has turned 50 years old. Davit Ustiashvili is a former member of the Georgian national team, four-time champion of Georgia, he played for Dinamo Tbilisi, Batumi Basco, Vita and Greek Filippos. Under the coaching of Davit Ustiashvili, Rustavi Energy-Invest became the champion of Georgia 4 times. Davit Ustiashvili worked as a coach of the Georgian national and youth teams for many years. In 2006 and 2011, under the coaching of Ustiashvili, the Georgian U-20 team moved from B Division to the elite A Division.
Zaza Gongadze, Advisor to the President of the Basketball National Federation, handed over a special diploma and a jersey of the Georgian national team to the jubilee.



ბესიკ ლიპარტელიანი

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტს, ვეტერან კალათბურთელს, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონ "ვითასა" და ეროვნული ნაკრების ყოფილ მთავარ მწვრთნელს, ბესიკ ლიპარტელიანს გასულ წელს 60 წელი შეუსრულდა.

BESIK LIPARTELIANI

Former President of the Georgian Basketball National Federation, veteran basketball player, former head coach of the multiple champion of Georgia Vita and the national team, Besik Liparteliani turned 60 last year.



ანზორ საკანდელიძე

გასულ წელს ანზორ საკანდელიძეს 60 წლის იუბილე შეუსრულდა. ანზორ საკანდელიძე საბჭოთა კავშირის მოსწავლეთა სპარტაკიადის ჩემპიონი, თბილისის „ბუვერესტნიკის" ოსტატ კალათბურთელთა წამყვანი მოთამაშე და საბჭოთა კავშირის „ბუვერესტნიკის" ნაკრების წევრი გახლავთ.

ANZOR SAKANDELIDZE

Anzor Sakandelidze celebrated his 60th birthday last year. Anzor Sakandelidze is the champion of the Students Spartakiada of the Soviet Union, the leading master basketball player of Tbilisi Buverestnik and a member of the team of Buverestnik of the Soviet Union.



ლიკა ქაჯაია

საქართველოს კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ საქართველოს ქალთა ნაკრების ყოფილი კაპიტანი და ლიდერი, ლიკა ქაჯაია დააფასა. ქალბატონი ლიკა – 50 წლის გახდა. ქართული კალათბურთის განვითარებასა და მისი სახელის საერთაშორისო ასპარეზზე გატანისათვის, იუბილარი საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა, პაატა გურასპაულმა მადლობის სიგელებითა და სახელობითი ეროვნული ნაკრების მაისურებით დააჯილდოვა.

LIKA QAJAIA

The Georgian Basketball National Federation has praised the former captain and leader of the Georgian women's national team, Lika Qajaia. Mrs. Lika - turned 50 years old. The President of the Georgian Basketball National Federation, Paata Guraspauli awarded the jubilee with a certificate of appreciation and nominative jersey of the national team for the development of Georgian basketball and bringing its name to the international arena.



ნინო ყიფშიძე

საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ქალთა ნაკრების ყოფილი წევრს, საქართველოს ქალთა კავშირის პრეზიდენტს, საკალათბურთო კლუბ „ორბის" მწვრთნელს, ნინო ყიფშიძეს 50 წელი შეუსრულდა.

საქართველოს კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ იუბილარს მადლობის სიგელი და ეროვნული ნაკრების მაისური გადასცა. ნინო ყიფშიძე ფედერაციის საშეჯიბრო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ალეკო პეტრიაშვილმა დააჯილდოვა.

NINO KIPSHIDZE

Former member of the Soviet Union team and Georgian women's national team, President of the Georgian Women's Union, coach of the basketball club Orbi, Nino Kipshidze has turned 50 years old.

Georgian Basketball National Federation awarded a certificate of appreciation and a national team jersey to the jubilee. Nino Kipshidze was awarded by the Head of the Competition Department of the Federation, Aleko Petriashvili.



ლევან მოსეშვილი და ვალერი ალთაბაევი 80 წლის გახდებოდნენ

ქართული კალათბურთის ორი თვალსაჩინო წარმომადგენელი ერთ დღესაა დაბადებული. 2020 წლის 23 მაისს, იუბილარები იქნებოდნენ ლევან მოსეშვილი და ვალერი ალთაბაევი. ორივე მათგანი იმ "დინამოს" წევრი იყო, რომელმაც 1962 წელს, ქართული კალათბურთისთვის ყველაზე დიდი გამარჯვება გამოჭედა. ალთაბაევისა და მოსეშვილის თანამონაწილეობით, დინამოელებმა შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალში, დიადი კლუბი – მადრიდის "რეალი" დაამარცხეს.

ვალერი ალთაბაევი 2007 წელს, 67 წლის ასაკში გარდაიცვალა. გასულ წელს ის 80 წლის გახდებოდა. ვალერი ალთაბაევმა თამაში 1953 წელს, ბათუმის სპორტსკოლაში დაიწყო. 1959-69 წლებში გამოდიოდა თბილისის "დინამოში", აგრეთვე თბილისის და საქართველოს ნაკრებ გუნდებში. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ოქროს (1968), სამი ვერცხლის (1960, 1961, 1969) და ბრინჯაოს (1965) მედლების მფლობელი, სსრკ თასის (1969) და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის (1962) მფლობელი. საბჭოთა კავშირის სპარტაკიადის ვიცე-ჩემპიონი (1959), "ქალაქების მატჩის" გამარჯვებული (1959), მეორე (1960) და მესამე (1967) პრიზიორი, ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა გათამაშების ფინალისტი (1969). 1996-2000 წლებში მუშაობდა მწვრთნელად ბათუმში, შექმნა გუნდი, რომელმაც შემდგომში შეადგინა "ბასკოს" ბირთვი.

80 წლის გახდებოდა ლევან მოსეშვილიც, რომელსაც იუბილემდე სულ მცირედი დააკლდა. ბატონი ლევანი 2020 წლის 5 მარტს გარდაიცვალა.



ლევან მოსეშვილის ტიტულები და მიღწევები

- ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი: 1964 (ტოკიო)
- ევროპის ჩემპიონთა თასი: 1962
- სსრკ ჩემპიონი: 1968
- სსრც ვიცე-ჩემპიონი: 1960, 1961, 1969
- სსრკ ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი: 1965
- სსრკ თასი: 1969
- სსრკ ხალხთა სპარტაკიადის ვიცე-ჩემპიონი: 1959
- სპორტის რაინდი - 2012
- საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მედალი - 2015
- სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი
- საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

ბატონი ლევანი გახლდათ საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი. იგი წვრთნიდა ორივე ფორმაციის – საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ჩემპიონატებში მოასპარეზე "დინამოს".

LEVAN MOSESHVILI AND VALERI ALTABAEV WOULD HAVE TURNED 80

Two prominent representatives of Georgian basketball were born on the same day. On May 23, 2020, Levan Moseshvili and Valeri Altabaev would celebrate the anniversaries. Both of them were members of that Dinamo, which in 1962, won the biggest victory for Georgian basketball. With the participation of Altabaev and Moseshvili, Dinamo defeated the great club - Real Madrid in the final of the European Champions Cup in Geneva, Switzerland.

Valery Altabaev passed away in 2007 at the age of 67. He would have turned 80 years old last year. Valeri Altabaev started playing in 1953 at Batumi Sports School. In 1959-69 he played for Dinamo Tbilisi, as well as for the national teams of Tbilisi and Georgia. Owner of gold (1968), three silver (1960, 1961, 1969) and bronze (1965) medals at the Soviet Championships; Winner of the USSR Cup (1969) and the European Champions Cup (1962). Vice-champion of the Spartakiada of the Soviet Union (1959), winner of the Match of Cities (1959), second (1960) and third (1967) prize-winner, Finalist of the European Cup Winners' tournament (1969). In 1996-2000 he worked as a coach in Batumi, created a team, which later formed the core of Basco.

Levan Moseshvili would have turned 80 as well. Mr. Levan passed away on March 5, 2020.

LEVAN MOSESHVILI'S TITLES AND ACHIEVEMENTS

- Vice-Champion of the Olympics: 1964 (Tokyo)
- European Champions Cup: 1962
- USSR Champion: 1968
- USSR Vice-Champion: 1960, 1961, 1969
- USSR Championship bronze medalist: 1965
- USSR Cup: 1969
- Vice-Champion of the Spartakiada of the People of the USSR: 1959
- Knight of Sports - 2012
- Medal of the Georgian National Olympic Committee - 2015
- Honored Master of Sports of the USSR
- Honored Coach of Georgia.

Mr. Levan was the head coach of the Georgian national team. He used to train Dinamo, which competed in the championships of both Soviet and Georgian championships.



ზურაბ საკანდელიძე

გასულ წელს ზურაბ საკანდელიძეს 75 წელი შეუსრულდებოდა. ზურაბ საკანდელიძე გახლდათ ოლიმპიადის, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების მომგები ერთადერთი ქართველი კალათბურთელი.
1962-1975 წლებში თბილისის „დინამოს" კალათბურთელი

ZURAB SAKANDELIDZE


Zurab Sakandelidze would have turned 75 last year. Zurab Sakandelidze was the only Georgian basketball player to win the Olympics, World and European Championships.
Player of Dinamo Tbilisi in 1962-1975

ტიტულები

- XX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი - 1972 (მიუნხენი);
- XIX ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი - 1968 (მეხიკო);
- მსოფლიოს ჩემპიონი - 1967;
- მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი - 1970;
- ევროპის ჩემპიონი - 1965, 1967, 1969, 1971;
- ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი - 1973;
- სსრკ ვიცე-ჩემპიონი - 1969;
- სსრკ ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი – 1965;
- სსრკ თასის მფლობელი - 1969;
- ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო მცველი - 1967;
- მსოფლიო ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრების წევრი - 1967;
- საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი (საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია) - 1967;
- სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი - 1967;
- 1979 - 1983 წლებში თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელი;
- ვახტანგ გორგასლის II ხარისხის და ღირსების ორდენის კავალერი.

TITLES

- Champion of the XX Olympic Games - 1972 (Munich);
- Bronze winner of the XIX Olympic Games - 1968 (Mexico City);
- World Champion - 1967;
- World Cup bronze medalist - 1970;
- European Champion - 1965, 1967, 1969, 1971;
- European Championship bronze medalist - 1973;
- Vice-Champion of the USSR - 1969;
- Bronze prize-winner of the USSR Championship - 1965;
- Holder of the USSR Cup - 1969;
- Best Defender of the European Championship - 1967;
- Member of the symbolic team of the World Cup - 1967;
- Best Athlete of Georgia (Georgian Association of Sports Journalists) - 1967;
- Honored Master of Sports of the USSR - 1967;
- 1979-1983 - Head Coach of Dinamo Tbilisi;
- Knight of the II degree Order of Vakhtang Gorgasali and Knight of the Order of Merit.



მარენ კეკელია

50-იანი წლების საქართველოს ნაკრების წევრი, თბილისის „ბუვერესტნიკის" წევრი მარენ კეკელია გასულ წელს 87 წლის ასაკში გარდაიცვალა.

MAREN KEKELIA

Maren Kekelia, a member of the Georgian national team of the 50s, a member of Tbilisi Buverestnik, passed away last year at the age of 87.


GBF
საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია
GEORGIAN BASKETBALL NATIONAL FEDERATION
GBF.GE

2022 წელს საქართველო ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპს უმასპინძლებს!

საიდან დაიწყო ქართული კალათბურთი, რა გზა გაირა დღემდე და როგორ მივიდა ევრობასკეტამდე. კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პროექტი „ქართული კალათბურთის გზა 2022 წლის ევრობასკეტამდე“

კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პროექტი 2019 წლის ოქტომბერში დაიწყო და 2022 წლის ევრობასკეტამდე გაგრძელდება.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, საზოგადოებას ფედერაციის ვებ-გვერდის მეშვეობით, პერიოდულად მიეწოდებოდა ინფორმაცია ქართული კალათბურთის ისტორიის, ქართველი კალათბურთელების და მწვრთნელების შესახებ, რომელთა დამსახურებითაც კალათბურთი გახდა მოწინავე და პოპულარული სპორტის სახეობა საქართველოში და მივიდა ევრობასკეტამდე.

ქართული კალათბურთის ისტორია 2 ნაწილად იყოფა - დამოუკიდებლობამდე და დამოუკიდებლობის შემდეგ. 1991 წლიდან, მას შემდეგ, რაც ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა და ქართული კალათბურთიც დამოუკიდებლად ჩაება საერთაშორისო საკალათბურთო ასპარეზზე, საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა დაიწყო ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისკენ.

პროექტის პირველი ნაწილი უკვე დასრულდა, მეორე ნაწილი კი, რომელიც 1922 წლიდან, ქართული კალათბურთის დაარსებიდან 90-ან წლებამდე პერიოდს მოიცავს, მომდევნო სეზონიდან განახლდება.

პროექტი 2022 წლის ევრობასკეტისთვის წიგნის გამოცემით დასრულდება, რომელშიც სრულად მოიყრის თავს ქართული კალათბურთის ისტორია.





GEORGIA WILL BE HOSTING A GROUP PHASE OF EUROBASKET 2022!

WHERE DID GEORGIAN BASKETBALL START, WHAT PART DID IT TAKE AND HOW DID IT GET TO THE EUROBASKET.

THE PROJECT OF GEORGIAN BASKETBALL NATIONAL FEDERATION

THE ROAD OF GEORGIAN BASKETBALL TO EUROBASKET 2022

The project of the Basketball National Federation started in October 2019 and will last until Eurobasket 2022.
Through this project, via the Federation website, the Georgian society was constantly provided with information on the history of Georgian basketball, players and coaches, on whose merits basketball became an advanced and popular sport in Georgia and reached Eurobasket.
The history of Georgian basketball is divided into two parts – before and after independence. Since 1991, when our country gained independence, Georgian basketball has also been independently involved in the international basketball arena. Georgian national team has moved steadily towards the final of the European Championship.
The first part of the project has already been completed, and the second part, which covers the period from 1922, the founding of Georgian basketball, to the 90s, will be resumed from the next season.

The project will end with the publication of a book for the Eurobasket 2022, which will fully compile the history of Georgian basketball.

ჩემპიონატებსა და ღონისძიებებში გამარჯვებული გუნდები წლების მიხედვით
THE WINNING TEAMS IN CHAMPIONSHIPS AND TOURNAMENTS ACCORDING TO YEARS

სუპერლიგა — Superleague

1991	დინამო / Dinamo	2001-2002	ბასკო / Basko	2011-2012	არმია / Army
1992-1993	ვითა / Vita	2002-2003	დინამო / Dinamo	2012-2013	შსს აკადემია / MIA Academy
1993-1994	ვითა / Vita	2003-2004	ბასკო / Basko	2013-2014	დინამო / Dinamo
1994-1995	ვითა / Vita	2004-2005	სტუ ჯეოსელი / STU Geocell	2014-2015	შსს აკადემია / MIA Academy
1995-1996	ვითა / Vita	2005-2006	თბილავიამშენი / TAM	2015-2016	ქუთაისი / Kutaisi
1996-1997	ვითა / Vita	2006-2007	ენერჯი ინვესტი / Energy Invest	2016-2017	დინამო / Dinamo
1997-1998	ვითა / Vita	2007-2008	ენერჯი ინვესტი	2017-2018	დინამო / Dinamo
1998-1999	ვითა / Vita	2008-2009	ენერჯი ინვესტი	2018-2019	დელტა / Delta
1999-2000	ბასკო / Basko	2009-2010	ენერჯი ინვესტი / Energy Invest	2019-2020	გაუქმებულად გამოცხადდა* Canceled*
2000-2001	ბასკო / Basko	2010-2011	არმია / Army		

ა-ლიგა — A League

2014-2015	არენა 76 / Arena 76	2016-2017	მარნეულის დელტა / Marneuli Delta	2018-2019	ვერა / Vera
2015-2016	კაკტუსი / Cactus	2017-2018	თსუ-ჰიუნდაი / TSU Hyundai	2019-2020	გაუქმებულად გამოცხადდა* Canceled*

20-წლამდელთა ჩემპიონატი — U20 Championship

2008-2009	რუსთავი / Rustavi	2012-2013	სოხუმი / Sokhumi	2016-2017	ჰიუნდაი / Hyundai
2009-2010	რუსთავი / Rustavi	2013-2014	შსს აკადემია/ MIA Academy	2018-2019	ზაზა / Zaza
2010-2011	სტუ / STU	2014-2015	ოლიმპი / Olimpi		
2011-2012	სოხუმი / Sokhumi	2015-2016	სოხუმი / Sokhumi		

18-წლამდელთა ჩემპიონატი — U18 Championship

2008-2009	აკადემია / Academy	2012-2013	ჰიუნდაი / Hyundai	2016-2017	ზაზა 1 / Zaza 1
2009-2010	აკადემია / Academy	2013-2014	აკადემია / Academy	2017-2018	ზაზა 1 / Zaza 1
2010-2011	სოხუმი / Sokhumi	2014-2015	აკადემია / Academy	2018-2019	ზაზა 2 / Zaza 2
2011-2012	ქუთაისი / Kutaisi	2015-2016	აკადემია / Academy	2019-2020	გაუქმებულად გამოცხადდა* Canceled*

16-წლამდელთა ჩემპიონატი — U16 Championship

2008-2009	ქუთაისი / Kutaisi	2012-2013	შსს აკადემია / MIA Academy	2016-2017	აკადემია / Academy
2009-2010	ქუთაისი / Kutaisi	2013-2014	აკადემია / Academy	2017-2018	ზაზა აკადემია / Zaza Academy
2010-2011	აკადემია / Academy	2014-2015	ჰიუნდაი / Hyundai	2018-2019	ზაზა / Zaza
2011-2012	აკადემია / Academy	2015-2016	აკადემია / Academy	2019-2020	გაუქმებულად გამოცხადდა* Canceled*

14-წლამდელთა ჩემპიონატი — U14 Championship

2008-2009	მართვე1 / Martve1	2012-2013	I ექს-ჰიუნდაი / Hyundai	2016-2017	აჭარის ნაკრები / Adjara Team
2009-2010	ზაზა / Zaza	2013-2014	ჰიუნდაი / Hyundai	2017-2018	ჰიუნდაი / Hyundai
2010-2011	კარდინალი / Cardinal	2014-2015	აკადემია / Academy	2018-2019	ზაზა აკადემია / Zaza Academy
2011-2012	აკადემია / Academy	2015-2016	დინამო / Dinamo	2019-2020	გაუქმებულად გამოცხადდა* Canceled*

დუდუ დადიანის მემორიალი — Dudu Dadiani Memorial

2002	დინამო / Dinamo	2008	ენერჯი ინვესტი / Energy Invest	2014	რუსთავი / Rustavi
2003	ჯეოსელი / Geocell	2009	ენერჯი / Energy	2015	ბარსი (ყაზახეთი) / Barsy
2004	სტუ ჯეოსელი / STU Geocell	2010	ენერჯი ინვესტი / Energy Invest	2016	დინამო / Dinamo
2005	ავიამშენი / TAM	2011	ქუთაისი / Kutaisi	2017	დინამო / Dinamo
2006	ენერჯი ინვესტი / Energy Invest	2012	არმია / Army	2018	დელტა / Delta
2007	ენერჯი ინვესტი / Energy Invest	2013	სოხუმი / Sokhumi	2019	თსუ / TSU

ზურაბ საკანდელიძის და მიხეილ ქორქიას მემორიალი — Zurab Sakandelidze and Mikheil Qorqia Memorial

2006	რუსთავი / Rustavi	2011	თსუ / TSU	2016	ქუთაისი / Kutaisi
2007	ენერჯი ინვესტი / Energy Invest	2012	არმია / Army	2017	ქუთაისი / Kutaisi
2008	თბილავიამშენი / TAM	2013	ოლიმპი / Olimpi	2018	ქუთაისი / Kutaisi
2009	ენერჯი ინვესტი / Energy Invest	2014	დინამო / Dinamo	2019	თსუ-ჰიუნდაი / TSU Hyundai
2010	ენერჯი ინვესტი / Energy Invest	2015	შსს აკადემია / MIA Academy	2020	რუსთავი / Rustavi

CHRONOLOGY

საქართველოს თასი — Georgian Cup

2003	ბასკო / Basko	2009	ენერჯი ინვესტი / Energy Invest	2015	დინამო / Dinamo
2004	დინამო / Dinamo	2010	სსაუ / SSAU	2016	დინამო / Dinamo
2005	სტუ / GTU	2011	არმია / Army	2017	ქუთაისი / Kutaisi
2006	თსუ ნიკორა / TSU Nikora	2012	არმია / Army	2018	ქუთაისი / Kutaisi
2007	თბილავიამშენი / TAM	2013	შსს აკადემია / MIA Academy	2019	ტიტები / Titebi
2008	თბილავიამშენი / TAM	2014	ქუთაისი / Kutaisi	2020	გაუქმებულად გამოცხადდა* Canceled*

სუპერთასი — Supercup

2006	თსუ ნიკორა / TSU Nikora	2011	არმია / Army	2016	დინამო / Dinamo
2007	აზოტი / Azot	2012	არმია / Army	2017	დინამო / Dinamo
2008	ენერჯი ინვესტი / Energy Invest	2013	ოლიმპი / Olimpi	2018	ქუთაისი / Kutaisi
2009	ავიამშენი / TAM	2014	ქუთაისი / Kutaisi	2019	ცხუმ-აფხაზეთი / Tskhum-Apkhazeti
2010	სსაუ / SSAU	2015	შსს აკადემია / MIA Academy		

სტუდენტური ლიგა — Student League

2018-2019	სპორტის უნივერსიტეტი / Sport Uni	2019-2020	გაუქმებულად გამოცხადდა* Canceled*

Junior NBA

2015-2016	ქუთაისი (გოლდენ სტეიტ უორიორსი) Kutaisi (Golden State Warriors)	2018-2019	ზაზა აკადემია 1 (ჩიკაგო ბულსი) Zaza Academy 1 (Chicago Bulls)	2019-2020	გაუქმებულად გამოცხადდა* Canceled*
2016-2017	ზაზა აკადემია (ჩიკაგო ბულსი) Zaza Academy (Chicago Bulls)		ლეგიონი (დენვერ ნაგეთსი) Legioni (Denver Nuggets)		
2017-2018	ზაზა აკადემია (ოკლაჰომა თანდერსი) Zaza Academy (Oklahoma Thunder)		ბ ლიგა/ B League		

*შენიშვნა - 2019-2020 წლების სეზონი COVID-19 პანდემიის გამო გაუქმებულად გამოცხადდა
* Note - The 2019-2020 season has been declared canceled due to the COVID-19 pandemic

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია მადლობას უხდის თანამშრომლობისთვის

GEORGIAN BASKETBALL NATIONAL FEDERATION IS GRATEFUL FOR COOPERATION

საქართველოს მთავრობა

MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

თბილისის მერია

FIBA We Are Basketball

Georgian Railway EST. 1872

BORJOMI

HYUNDAI

PSP

ბოდნისა აუდიტორული კონცერნი

ალგანი დაცვის კომპანია

ALGANI SECURITY COMPANY

ტიფლისტექსი TIFLISTEX

TKT.GE

U.S. EMBASSY TBILISI

Government of the United States

jr. nba League

SPORTS PALACE სპორტის სასახლე

EYBL

საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია

თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირი

GBPA

TBILISI BASKETBALL FEDERATION თბილისის კალათბურთის ფედერაცია

1TV.GE

WORLDSPORT.GE

SPORTALL.GE

RADIO PALITRA FM 103.9

MYVIDEO

MY.GE

MYAUTO.GE

MYSPORTS.GE

IMEDI.FM

COMMERSANT 95.5 FM

FM ცნობა 98.1

JAK 96.3 FM

ავტორადიო თბილისი FM-95.1

adjarasport.com

FOLLOW US



GEORGIAN BASKETBALL FEDERATION

CORONAVIRUS COVID-19

ახალმა კორონავირუსმა მთელ მსოფლიოში შეაჩერა სპორტული და საზოგადოებრივი აქტივობები. გადაიდო ოლიმპიური თამაშები, ევრობასკეტი და ყველა საერთაშორისო თუ შიდა ტურნირი. შესაბამისად, Covid-19 პანდემიის გამო, 2019-2020 წლების საკალათბურთო სეზონი საქართველოში გაუქმებულად გამოცხადდა.

The new Coronavirus has halted sports and public activities around the world. The Olympic Games, Eurobasket and all international or domestic tournaments have been postponed. Accordingly, due to the Covid-19 pandemic, the 2019-2020 basketball season in Georgia has been canceled.

FOLLOW @GBF